www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 12 სექტემბერი, 2013 წელი. | №3363 (170) | ფასი 50 თეთრი

ცესკო-ს ახალი თავმჯდომარე ჰყავს

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ახალი თავმჯდომარე ჰყავს. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს თამარ ჟვანია უხელმძღვანელებს. ცესკო-ს თავმჯდომარის თანამდებობაზე ჟვანიას დანიშვნას კომისიის ექვსივე წევრმა დაუჭირა მხარი. მათი განცხადებით, ამ არჩევანის გაკეთებაში გადამწყვეტი როლი თამარ ჟვანიას გამოცდილებამ და 11 არასამთავრობო ორგანიზაციის რეკომენდაციამ შეასრულა.

თამარ ჟვანია ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაცია «სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ (ISFED) აღმასრულებელი დირექტორი იყო. 2007 წელს მან მუშაობა დაიწყო თბილისში გაეროს განვითარების პროგრამაში, რომელიც საარჩევნო დახმარების უზრუნველყოფას ითვალისწინებს.

2011-2012 წლებში NDI-ის ვაშინგტონის ოფისში მუშაობდა. დღემდე კი გაერო-სა და ევროკავშირის განვითარების პროგრამების მენეჯერია.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალი თავმჯდომარე ამბობს, რომ ცესკო მაქსიმალურად გამჭვირვალე და კანონმორჩილი ადმინისტრაცია იქნება. მისივე თქმით, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ კომისიაში ძირეული ცვლილებები იგეგმება.

„ჩემს ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა. მინდა, მადლობა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, განსაკუთრებით არასამთავრობო სექტორს, პოლიტიკურ მხარეებს, რომელთა კონსენსუსის საფუძველზე ვიყავი როგორც წარდგენილი, ასევე არჩეული. ეს იყო უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება საპრეზიდენტო არჩევნების წინ. მე, როგორც თავმჯდომარემ, საარჩევნო ადმინისტრაციის კომპეტენციის ფარგლებში, მინდა, ჩვენს ამომრჩეველს ვუთხრა, რომ ვიქნებით მაქსიმალურად გამჭვირვალე, კანონის მორჩილი ადმინისტრაცია, აუცილებლად ვიქნებით პროფესიონალები ჩვენს საქმეში.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

„რაც მეტს დაუთმობ, მეტად დაგახრჩობს“

ბაქრაძის შეხვედრა ზუგდიდში

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატი დავით ბაქრაძე გუშინ ზუგდიდში ამომრჩევლებს შეხვდა. ამას წინ უძღოდა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორ თენგიზ გუნავას განცხადებები, რომელიც „ქართული ოცნების“ პროვოკაციაზე საუბრობდა.

„ქართული ოცნება“ და ხელისუფლება იმ ზონდერჯგუფების ამოქმედებას გეგმავენ, რომლებიც ზუგდიდში იმყოფებიან. გვაქვს ინფორმაცია, რომ ისინი სოფლებიდან ხალხის გამოყვანას და პროვოკაციის მოწყობას აპირებენ. ვაფრთხილებთ ხელისუფლებას, მიიღოს სათანადო ზომები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვიხსნით პასუხისმგებლობას და მივიღებთ ადეკვატურ ზომებს,“ - ამბობდა გუნავა.

გუბერნატორმა ვიდეომასალაც წარმოადგინა, რომელშიც, გუნავას თქმით, „დაიცავი საქართველოს“ წევრ კახა მიქაიასა და „ქართული ოცნების“ რაიონული ოფისის ხელმძღვანელის შეხვედრაა აღბეჭდილი. გუნავას მტკიცებით, კახა მიქაიას მონაწილეობით დავით ბაქრაძის შეხვედრის ჩაშლა იგეგმებოდა.

ბაქრაძის შეხვედრის პარალელურად, ზუგდიდში კონტრაქცია გაიმართა, თუმცა ზუგდიდის ცენტრში დილიდან მობილიზებული იყო პოლიცია, რომელმაც მხარეები კორდონით გამიჯნა. ბაქრაძის შეხვედრამ დაპირისპირების გარეშე ჩაიარა. კახა მიქაიას თქმით, პოლიტიკური პარტია, რომელიც ამომრჩეველთან შეხვედრას ჯებირს მიღმა, პოლიციელთა თანხლებით მართავს, «პოლიტიკური ნაგავია“.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ობამამ საკუთარ ხალხს მიმართა

თამთა კახაძე

სამშაბათს, საღამოს, ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ საკუთარ ხალხს მიმართა. ცხადია, მიმართვის მთავარი თემა სირიაზე ამერიკის შესაძლო თავდასხმა იყო.

პრეზიდენტის თქმით, მას, რუსეთიდან წამოსული ახალი ინიციატივის ფონზე, სირიაზე თავდასხმის ნებართვა ბერკეტად სჭირდება. ობამამ აღნიშნა, რომ ამერიკას, როგორც «გლობალური უსაფრთხოების“ წყაროს, მორალური, პოლიტიკური და სტრატეგიული არგუმენტები გააჩნია, თუ რატომ უნდა იყოს მზად სირიაზე დარტყმისთვის:

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

12 წელი 9/11-ის ტრაგედიიდან

თამთა კახაძე

2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკაზე «ალ ქაიდას“ ტერორიტების იერიშიდან 12 წელი გავიდა. იმ დღეს თვითმკვლელი ტერორისტები ორი გატაცებული თვითმფრინავით ნიუ-იორკში მდებარე მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ტყუპ ცათამბჯენსა და ვაშინგტონში მდებარე პენტაგონის შენობას თავს დაესხნენ. მესამე გატაცებული თვითმფრინავი კი, რომელშიც ეკიპაჟი და მგზავრები ტერორისტების განეიტრალებას შეეცადნენ, პენსილვანიაში ჩამოვარდა.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643	⇓
1 ევრო	2.2110	⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933	⇓
1 თურქული ლირა	0.8622	⇓
100 რუსული რუბლი	5.0433	⇓

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

FM 102.4
საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი

ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

კოტე ტულუში: „ესპანურის გაკვეთილები და ვესელი“



გვ. 8

კოტე ტულუში

მალე თელავში - მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი

ანა წულუკიძე

გუშინ, 11 სექტემბერს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში, მინისტრმა გურამ ოდიშარიამ, კლასიკური მუსიკის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის ცენტრის გენერალურმა მენეჯერმა თამრიკო ლორთქიფანიძემ და ფესტივალის გენერალური სპონსორის „კავკასუს ონლაინის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა რუსუდან კაპანაძემ „მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი თელავში 2013-ის“ შესახებ ისაუბრეს.

თელავი ტრადიციულად მუსიკის საერთაშორისო ფესტივალს უმასპინძლებს, რომელიც 12 ოქტომბერს, 19:00 საათზე - თელავის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიხსნება

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

ადვოკატები: „ვანო მერაბიშვილი შესაძლოა, პროცესს ვერ დაესწროს"

„ნაციონალური მოძრაობის" გენერალურმა მდივანმა, პატიმრობაში მყოფმა ვანო მერაბიშვილმა შესაძლოა, საკუთარ სასამართლო პროცესზე დასწრება ვერ შეძლოს.

„ვანო მერაბიშვილს სურვილი აქვს, რომ ქუთაისში წამოვიდეს, თუმცა თუ ამის შესაძლებლობა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ ექნება, ბუნებრივია, პროცესს არ დაესწრება," - განაცხადა ადვოკატმა ჩივიაშვილმა.

ე.წ. ფიქტიური დასაქმებების საქმეზე ვანო მერაბიშვილის სასამართლო პროცესი ქუთაისის საქალაქო სასამართლოში დღეს, 12:00 საათზეა ჩანიშნული.

სასჯელაღსრულების სამინისტროში აცხადებენ, რომ ვანო მერაბიშვილი პრაქტიკულად ჯანმრთელია და ბადრაგირებას ექვემდებარება.

სასჯელაღსრულების სამინისტროს პრესსამსახურის უფროს ირაკლი კორძაიას განცხადებით, მერაბიშვილს, რომელიც სასჯელაღსრულების N9 დაწესებულებაშია მოთავსებული, რამდენიმე დღის წინ სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდა.

„ამ გამოკვლევას ესწრებოდა მისი ნდობით აღჭურვილი ექიმი და, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, რამდენიმე დღის განმავლობაში მის ჯანმრთელობაში უარესობისკენ კარდინალური ცვლილებები არ ყოფილა. იმ ინფორმაციით და დიაგნოზით, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ დაუდგინეს, ვანო მერაბიშვილი ბადრაგირებას ექვემდებარება," - განაცხადა ირაკლი კორძაიამ.

ვანო მერაბიშვილმა დაკავების შემდეგ წონაში 22 კგ დაიკლო. ჯოენის კლინიკის ექიმ გრიგოლ ხურციძის განცხადებით, რომელმაც ვანო მერაბიშვილი, ოჯახის თხოვნით, ე.წ. მატროსოვის ციხეში მოინახულა, საჭიროა, ყოფილ პრემიერს სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში დამატებითი გამოკვლევები ჩაუტარდეს. ხურციძის ინფორმაციით, მერაბიშვილს, წონის კლებასთან ერთად, ხერხემლის პრობლემები, ასევე გულის არითმია აწუხებს.

გრიგოლ ხურციძესთან ერთად, სასჯელაღსრულების N9 დაწესებულებაში იმყოფებოდა კარდიოლოგი შალვა პეტრიაშვილი, ასევე, სასჯელაღსრულების სამედიცინო დეპარტამენტის თავმჯდომარე ნათია ლანდია.

ყოფილ პრემიერთან სამოქალაქო სექტორის ექიმები მას შემდეგ შეუშვეს, რაც ადვოკატმა გიორგი ჩივიაშვილმა მერაბიშვილის ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესების გამო აღნიშნული თხოვნით სასჯელაღსრულების სამინისტროს მიმართა.

კარდიოლოგის განცხადებით, ყოფილ პრემიერ-მინისტრს ამ ეტაპზე ახალი გამოკვლევის ჩატარება არ სჭირდება.

12 სექტემბერს, ე.წ. ფიქტიური დასაქმებების საქმეზე ქუთაისის საქალაქო სასამართლო, ვანო მერაბიშვილთან ერთად, კახეთის გუბერნატორ ზურაბ ჭიაბერაშვილის საქმესაც იხილავს.

ვანო მერაბიშვილი და ზურაბ ჭიაბერაშვილი 22 მაისს დააკავეს, თუმცა ჭიაბერაშვილი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. გამოძიება მერაბიშვილსა და ჭიაბერაშვილს სისხლის სამართლის კოდექსის 164-1, 182-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით და 332-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებში - მოსყიდვაში, გაფლანგვასა და უფლებამოსილების გადამეტებაში სდებს ბრალს.

ჟენევის დისკუსიისთვის მზადება ცხინვალში

გუშინ ოკუპირებულ ცხინვალში იმყოფებოდნენ ჟენევის საერთაშორისო დისკუსიის თანათავმჯდომარეები ევროკავშირიდან, გაერო-დან და ეუთო-დან. ფილიპ ლეფორი, ანტი ტურუნენი და ანდრეი დეშიცა მარიონეტული ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდნენ და მოლაპარაკებების 25-ე რაუნდის დღის წესრიგის შესახებ ისაუბრეს, რომელიც ნოემბრის დასწყისშია დაგეგმილი.

ოსური მედიის ცნობით, შეხვედრა უსაფრთხოებისა და სტაბილიზაციის საკითხებს მიეძღვა.

ფილიპ ლეფორის თქმით, მხარეებს პროცესების ზოგიერთი მიმართულებით გაგრძელების იმედი უნდა ჰქონდეთ. ამავე დროს, როგორც ლეფორი აღნიშნავს, ზოგი საკითხი შეშფოთებას იწვევს. ეს, ძირითადად, ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმებას ეხება. **„ჩვენთვის პრიორიტეტულად კვლავ მოსახლეობის უსაფრთხოების საკითხი რჩება,"** - ამბობს ლეფორი.

საკუთარი ინფორმაცია

არასწორად გაცემული პენსია ლეგალიზაციას დაექვემდებარება

მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე ზედმეტად, არასწორად გაცემული პენსია, მათ შორის საპენსიო დანამატი, ლეგალიზაციას დაექვემდებარება.

შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივით ჯანდაცვის სამინისტრომ პარლამენტს უკვე მიმართა, თუმცა წარდგენილი პროექტის გათვალისწინებით, აღნიშნულ ინიციატივას უკუძალა არ ექნება, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონის ამოქმედებამდე უკვე დაქვითული პენსია პენსიონერებს უკან არ დაუბრუნდება.

კანონის თანახმად, თუკი პირი სახელმწიფო პენსიის მიღების პარალელურად საჯარო საქმიანობას ახორციელებს, მის მიერ პენსიის სახით მიღებული თანხა დაქვეთას ექვემდებარება. ამასთან დაკავშირებით კანონპროექტის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ დღეის მდგომარეობით, პენსია 3 148 პენსიონერს ექვითება, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტისთვის გადასახდელი თანხა თვეში 395 610 ლარს შეადგენს.

ამასთან, პროექტით ახლებურად და უფრო მკაფიოდ ყალიბდება „საჯარო საქმიანობის" განმარტება, რაც თავის მხრივ, საჯარო საქმიანობის განმახორციელებელ პირთა საპენსიო უზრუნველყოფის ადმინისტრირებასთან არის დაკავშირებული.

ცესკო-ს ახალი თავმჯდომარე ჰყავს

პირველი გვერდიდან

რა თქმა უნდა, ვიქნებით მიუკერძოებლები. მთავარია, ჩვენ, ყველამ ერთად, ავაშენოთ ნდობა და საპრეზიდენტო არჩევნები საუკეთესო იყოს მათ შორის, რაც კი საქართველოში აქამდე ჩატარებულა," - განაცხადა თამარ ჟვანიამ.

ცესკო-ს თავმჯდომარის თანამდებობა ვაკანტური რამდენიმე კვირის წინ გახდა - მას შემდეგ, რაც ზურაბ ხარატიშვილმა გადადგომის შესახებ განაცხადა.

კანონმდებლობის მიხედვით, ცესკო-ს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს მე-15 დღისა, პრეზიდენტი, სამოქალაქო სექტორთან კონსულტაციების შემდეგ, ცესკო-ს თავმჯდომარის სამ კანდიდატურას წარუდგენს. ცესკო-ში პარტიების მიერ დანიშნული წევრები თავმჯდომარეს ხუთი დღის ვადაში ირჩევენ. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული წესით ცენტრალური საარჩევნო კომისია გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს, იმავე კანდიდატურებიდან ცესკო-ს თავმჯდომარეს შვიდი დღის ვადაში საქართველოს პარლამენტი ირჩევს. ცესკო-ს თავმჯდომარის პოსტის დასაკავებლად კანდიდატმა ოთხი ან მეტი ხმას უნდა მიიღოს.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე 9 სექტემბერს წარადგინა სამი კანდიდატურა - თამარ ჟვანია, მანუჩარ გამყრელიძე და კონსტანტინე ამირეჯიბი.

თამარ ჟვანიამ ცესკო-ს თავმჯდომარის რანგში პირველი შეხვედრა ამერიკის ელჩ რიჩარდ ნორლანდთან და ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილესთან დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და შრომის საკითხებში თომას მელიასთან გამართა.

თომას მელიას განცხადებით, საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოსთვის შესაძლებლობაა, აჩვენოს, რომ დემოკრატიულ განვითარებას და აქედან გამომდინარე, ევროატლანტიკური კურსით სვლას აგრძელებს.

„ჩვენი დელეგაცია ყოველი შეხვედრისას ყურადღებას ამახვილებდა დემოკრატიული პროცესის მნიშვნელობაზე, რომლის შედეგად ქართველი ხალხის ნების გამომხატველი არჩევნები ჩატარდება. დემოკრატიული საარჩევნო პროცესი მხოლოდ ის არ არის, რაც არჩევნების დღეს ხდება. დემოკრატიული საარჩევნო პროცესის საკვანძო კომპონენტებია თანაბარი სათამაშო ველი, კანონის უზენაესობა და სამართლიანი სასამართლო, თავისუფალი მედიაგარემო, ფუნდამენტური თავისუფლებების პატივისცემა და პროცესში ჩართული სახელმწიფო მოხელეების კონსტრუქციული თანამშრომლობა," - განაცხადა ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ.

თომას მელიას შეფასებით, საარჩევნო გარემომ პროცესში ყველა პარტიისა და კანდიდატის შეუზღუდავ მონაწილეობას უნდა შეუწყოს ხელი.

„ამ მხრივ რჩება გამოწვევები, თუმცა სხვადასხვა მხარეებისგან მოვისმინეთ, რომ ამჟამად პოლიტიკური გარემო უფრო თავისუფალი და კონკურენტულია, ვიდრე გასული წლის საპარლამენტო არჩევნების წინ. აუცილებელია საარჩევნო კანონმდებლობის აღსრულება. არჩევნებისას გამოვლენილი დარღვევების სასამართლო განხილვა მიუკერძოებლად, გამჭვირვალედ, პასუხისმგებლობითა და სამართლიანი სასამართლოს პრინციპის პატივისცემით უნდა გაიმართოს," - განაცხადა თომას მელიამ და აღნიშნა, რომ განსაკუთრებული ყურადღება უმცირესობათა ჯგუფების საჩივრების განხილვას უნდა დაეთმოს.

ცესკო-ს თავმჯდომარედ თამარ ჟვანიას დანიშვნას საქართველოს პრემიერ-მინისტრი გამოეხმაურა. როგორც ბიძინა ივანიშვილის განცხადებაშია ნათქვამი, თამარ ჟვანია, რომელიც გაერო-ს საარჩევნო პროგრამების კოორდინატორი იყო და რომელსაც ყველა პოლიტიკური ძალა და სამოქალაქო საზოგადოების ფართო წარმომადგენლობა უჭერს მხარს, იმის გარანტი იქნება, რომ ოქტომბერში პრეზიდენტის არჩევნები თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარდება.

„თამარ ჟვანია არის კანდიდატურა, რომელსაც მხარს უჭერენ წამყვანი პოლიტიკური პარტიები და სამოქალაქო საზოგადოება. მჯერა, რომ ის გამოიყენებს თავის გამოცდილებას იმისთვის, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარება უზრუნველყოს," - აღნიშნავს ივანიშვილი.

მისივე თქმით, პრეზიდენტმა სააკაშვილმა, ორ სხვა კანდიდატთან ერთად, თამარ ჟვანიას კანდიდატურა წარადგინა, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოების წამყვანმა ორგანიზაციებმა ერთხმად გაუწიეს რეკომენდაცია.

პრემიერი მიესალმება იმ ფაქტს, რომ ხელისუფლების, ოპოზიციური პარტიებისა და წამყვანი სამოქალაქო საზოგადოების შეთანხმების შედეგად, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თამარ ჟვანიას კანდიდატურა დაამტკიცა.

ხარატიშვილი ცესკო-ს თავმჯდომარის პოსტზე თამარ ჟვანიას ისურვებდა

ცესკო-ს ყოფილმა თავმჯდომარემ და პრეზიდენტობის კანდიდატმა ზურაბ ხარატიშვილმა გუშინ „პრაიმტაიმის" პრესკლუბში ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა. ხარატიშვილი პრეზიდენტის მიერ წარდგენილ ცესკო-ს თავმჯდომარეობის კანდიდატებს (თამარ ჟვანია, მანუჩარ გამყრელიძე და კონსტანტინე ამირეჯიბი) შეფასებისას და აღნიშნავს, რომ გენდერული ბალანსიდან გამომდინარე, კარგი იქნება, თუ ცესკო-ს თავმჯდომარის პოსტს ქალი დაიკავებს. ხარატიშვილის თქმით, მან სამივე კანდიდატი საარჩევნო ადმინისტრაციაში მუშაობის დროს გაიცნო. **„მათზე მხოლოდ კარგის თქმა შემიძლია. სამივე ღირსეული პროფესიონალია და ნებისმიერი მათგანი შეძლებს, ცესკო-ს თავმჯდომარის ფუნქციები კარგად შეასრულოს,"** - მიიჩნევს ხარატიშვილი.

ცესკო-ს ყოფილი თავმჯდომარე პარტია „საქართველოს გზის" საპატიო თავმჯდომარის სალომე ზურაბიშვილისთვის პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებასაც აფასებს. **„დარეგისტრირებისას პრობლემა იურიდიული ხასიათის იყო და არა პოლიტიკური. საქართველოს კონსტიტუცია პირდაპირ მიუთითებს, რომ არ შეიძლება, პრეზიდენტი იყოს ადამიანი, რომელიც ამავე დროს სხვა ქვეყნის მოქალაქეა. თუმცა ეს ჩანაწერი ზოგადად სამართლიანად არ მიაჩნია. კონსტიტუციით, თუ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა არ გააჩნია, შეიძლება, საქართველოს პრეზიდენტი გახდეს, არალოგიკურია, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნისა და ამავე დროს საქართველოს მოქალაქე კანდიდატად ვერ რეგისტრირდება. თუმცა, კონსტიტუციით დღეისთვის ასეა,"** - განმარტავს ხარატიშვილი.

ზურაბ ხარატიშვილი პარლამენტის წევრ კობა დავითაშვილის საკანონმდებლო ინიციატივასაც ეხმიანება, რომლის თანახმად, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრებს სახელმწიფო თანამდებობების დაკავება ეკრძალებათ. **„ეს კანონპროექტი ალბათ ლუსტრაციის კანონის ტიპისაა, თუმცა მას გარკვეული საფუძვლები უნდა ჰქონდეს. საქართველოში 92 წლიდან ხელისუფლება სხვადასხვა ფორმებით 3-ჯერ შეიცვალა. ეს ინიციატივა უფრო წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია. დარწმუნებული ვარ, რომ კობა დავითაშვილს თავისი ამომრჩევლისთვის გაცილებით უკეთესი წინადადების შეთავაზება შეუძლია,** - ამბობს ხარატიშვილი.

ხარატიშვილი საგარეო პოლიტიკასაც შეეხო და აღნიშნა, რომ ევრაზიული კავშირი ევროკავშირის პაროდიული ანალოგია, სადაც საქართველოს არაფერი ესაქმება.

მისი თქმით, ევრაზიული კავშირი ღრმა ინტეგრაციას, საერთო ფულად ნიშნებს, საერთო თავდაცვას, საერთო საზღვრებს და საერთო ეკონომიკას გულისხმობს. **„საბჭოთა კავშირი მეტი არაფერი იყო. ფაქტობრივად, ჯერჯერობით ეს არის ფორმულა: საბჭოთა კავშირს მინუს კომუნისტური პარტია,"** - აღნიშნავს ზურაბ ხარატიშვილი.

საკუთარი ინფორმაცია

უგულავა ამხანაგობების თავმჯდომარეებისთვის დაფინანსების შეწყვეტას აპროტესტებს

თბილისის მერმა გიგი უგულავამ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეებისთვის პენსიის და სოციალური დახმარების მოხსნა გააპროტესტა. როგორც უგულავამ ამხანაგობების თავმჯდომარეებთან გამართულ შეხვედრაზე აღნიშნა, საკრებულოში მიღებული დრაკონული გადაწყვეტილების შემდეგ სოციალური მომსახურების სააგენტო ამხანაგობების თავმჯდომარეებს უსამართლოდ მოექცა. **„საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება, რასაც შიხიაშვილის სეკვესტრს ვუწოდებ, თუმცა უარესი გააკეთა სოციალური სუბსიდიების სააგენტომ. არ მინდა, დავიჯერო, რომ ეს ორკესტრირებულია. გამოდის, ეს ნაბიჯი საკუთარი ხალხის მიმართ სადამსჯელო ღონისძიებაა. სააგენტოს მოვუწოდებ, ეს დრაკონული კასკადი შეწყვიტოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამართლებრივ ბრძოლას დავიწყებთ,"** - აცხადებს უგულავა.

თბილისის მერის აზრით, სოციალური სუბსიდიების სააგენტოს გადაწყვეტილება პოლიტიკურად მოტივირებულია და ამით მთავრობა მხოლოდ საკუთარ თავს დააზარალებს.

რაც შეეხება სააგენტოს, როგორც უგულავა ამბობს, იმ მოტივით, თითქოს ამხანაგობების თავმჯდომარეები საჯარო მოხელეები არიან, სააგენტომ მათ ყველანაირი დახმარება შეუწყვიტა. უგულავას განმარტებით, ამხანაგობის თავმჯდომარის საჯარო მოხელედ განხილვა არც ერთი კანონით არ შეიძლება. მისივე თქმით, ამხანაგობების თავმჯდომარეები წახალისების სახით ანაზღაურებას მართლაც იღებდნენ, თუმცა ეს მათი შრომის გასამრჯელო იყო და არა საჯარო მოხელეებისთვის განკუთვნილი ხელფასი.

უგულავა საკრებულოს წევრების პოლიტიკურ შეფასებებსაც ეხმიანება. **„განცხადებები იმის შესახებ, რომ ამხანაგობების თავმჯდომარეები „ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტები არიან, სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან ისინი კორპუსის მცხოვრებლებმა აირჩიეს,"** - თქვა უგულავამ.

თბილისის მერს სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელმა ნოე ქინქლაძემ უპასუხა, რომელსაც უგულავას ბრალდებები აბსურდულად მიაჩნია. **„ჩვენ ყოველთვის კანონის შესაბამისად ვმოქმედებთ. პენსია იმ შემთხვევაში არ უნდა გაიცეს, თუ მოქალაქე საჯარო სამსახურიდან შომის ანაზღაურებას იღებს. თუ მოქალაქეებს შრომის ანაზღაურება ამ ფორმით არ ეძლევათ, მაშინ ტენდერი უნდა გამოცხადდეს და ის ანაზღაურება, რომელიც საჯარო სამსახურიდან გაცემულ ხელფასად არ ითვლება, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონით უნდა დარეგულირდეს,"** - ამბობს ნოე ქინქლაძე.

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი გიგი უგულავას აკრიტიკებს. მისი აზრით, უგულავა, რომელიც მეურნე მერი ვერ გახდა, დემაგოგად და დეზინფორმატორად დარჩა, რაზეც მისი რიტორიკა მეტყველებს. შიხიაშვილი ამხანაგობების თავმჯდომარეებისთვის განკუთვნილი დაფინანსების შესახებ საუბრისას აღნიშნავს, რომ **„წახალისებები, რომელთა შესახებაც მერი ასე გულდამწვარი საუბრობს, ორი კვარტალია, არ გაუციათ. ჩვენ, რა თქმა უნდა, შევიმუშავებთ ახალ ფორმას, თუ როგორ და რა ოდენობით უნდა გაიცეს წახალისება. საკრებულოს ახალ თემატურ უმრავლესობას ისეთი წესის შექმნა სურს, რომელიც თავისი კორპუსის პრობლემების გადაჭრაზე რეალურად მზრუნავ ადამიანს წაახალისებს."**

საკუთარი ინფორმაცია

„რაც მეტს დაუთმობ, მეტად დაგახრჩობს"

ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ბაქრაძის შეხვედრის დაწყებამდე განცხადება გააკეთა საქართველოში აშშ-ს ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა. ამერიკელი დიპლომატი ყველა პარტიის აქტივისტს სთხოვს, მუქარისა და ძალადობისგან თავისუფალი საარჩევნო ატმოსფეროს შექმნას შეუწყონ ხელი, ხელისუფლებას კი მიმართავს, სიმშვიდის დასაცავად ყველა ზომა მიიღოს. ელჩი წინასაარჩევნო გარემოს გაცნობის მიზნით 16 სექტემბერს ზუგდიდში ჩასვლას გეგმავს. **„ერთი წლის წინათ ზუგდიდში თბილ დახვედრას სიამოვნებით ვიხსენებ. მშვიდ ზუგდიდში დაბრუნებას მოუთმენლად ველოდები,"** - თქვა რიჩარდ ნორლანდმა.

პრეზიდენტობის კანდიდატი მხარდამჭერებთან სამი ძირითადი გზავნილით წარდგა. დავით ბაქრაძემ ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვის, მოქალაქეთა კეთილდღეობისა და სამუშაო ადგილების, აგრეთვე ქართული დემოკრატიისა და მოქალაქეთა დაცულობის მხრივ არსებული სირთულეების შესახებ ისაუბრა.

„დღეს მინდა, გესაუბროთ იმის შესახებ, რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები და რატომ ვფიქრობ, რომ ეს არჩევნები განსაზღვრავს არა ერთი, თუნდაც მაღალი და ძალიან საპატიო პოსტის მფლობელს, არამედ ჩვენი ქვეყნისთვის სამომავლო განვითარების გზას. პირველი და უმთავრესია ქვეყნის მიერ არჩეული მთავარი გზა - გზა თავისუფლების კენ, ღირსეული მომავლის კენ, ნატო-სა და ევროკავშირის წევრობის კენ. დღეს უკვე საქართველოს მთავრობა გვეუბნება, რომ ევრაზიულ კავშირში შესვლის პერსპექტივას სწავლობს და თუ ეს საქართველოსთვის კარგი იქნება, რატომაც არა! მინდა, მათ ვუთხრა - ოკუპანტთან მორჩილებას შესწავლა არ სჭირდება! ოკუპანტთან დაბრუნებას არ აქვს პლუსები და მინუსები. სწორედ ამიტომ მჭირდება თქვენი მანდატი, სწორედ ამიტომ გვჭირდება პირდაპირ არჩეული პრეზიდენტი - რათა მთავრობამ არ გადადგას საბედისწერო ნაბიჯები, რომელებიც ქვეყანას თავისუფლებას დააკარგვინებს! - აცხადებს ბაქრაძე და განაგრძობს, - **დღეს ბევრს საუბრობენ რუსეთთან ურთიერთობების დალაგებაზე და ეს, მართლაც, მნიშვნელოვანი საკითხია. თავიდანვე ვამბობ - დიახ, მინდა რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება, მაგრამ ასევე ცალსახად ვაცხადებ, რომ ეს ურთიერთობა არ გაუმჯობესდება საქართველოს ეროვნული ინტერესების ხარჯზე! რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება კარგია, მაგრამ ეს ურთიერთობები გაუმჯობესდება მხოლოდ მაშინ, თუ რუსეთი მიხვდება, რომ შეუძლებელია საქართველოს დამორჩილება, მისი გადაყვანა არჩეული გზიდან! ასე იყო ლიტვაში, ლატვიაში, პოლონეთში, ჩეხეთში, ესტონეთში და ასე იქნება საქართველოშიც! ამიტომ მე დღეს ვაცხადებ - კარგია, თუ სრულად გაიხსნება რუსული ბაზარი და იქ ქართული პროდუქცია დაბრუნდება, მაგრამ ეს არ მოხდება უაზრო დათმობების, ევროპული კურსიდან გადახვევის, ოკუპაციაზე თვალის დახუჭვის ხარჯზე! ვიცი, რას ნიშნავს რუსეთთან დიალოგი. მონაწილე ვიყავი იმ მოლაპარაკებების, რომელთა შედეგადაც საქართველოდან გავიდნენ რუსი მესაზღვრეები; მონაწილე ვიყავი იმ მოლაპარაკებების, რომელთა შედეგადაც 1999 წელს რუსეთი საქართველოდან ბაზების გაყვანას დათანხმდა. ამიტომ ვიცი, როგორი უნდა იყოს შედეგზე ორიენტირებული დიალოგი რუსეთთან - კონსტრუქციული, მშვიდი, მაგრამ ამავე დროს უკიდურესად პრინციპული, კრიტიკული და ქვეყნის ინტერესებზე ორიენტირებული. და ნებისმიერი სხვა ფორმა - თავის დახრა, კრიტიკაზე უარის თქმა, პირფერობა - მხოლოდ საპირისპირო შედეგამდე მიგვიყვანს."**

დავით ბაქრაძის თქმით, დღეს ზოგიერთ კანდიდატს, რომელიც პრეზიდენტის პოსტისკენ მიილტვის, ოკუპანტთან კარზე ხლების, თავის დახრის და დამორჩილების გამოცდილება აქვს! ხოლო ზოგიერთი კანდიდატი, როგორც ბაქრაძე ამბობს, გამოუცდელია, რაც არანაკლებ საშიშია, ვინაიდან ევრაზიული კავშირის შესწავლა, მეგობარი სომხეთის საგარეო პოლიტიკის მონონება, რუსეთის ფედერაციის ჯაშუშების გმირებად გათავისუფლება, საქართველოს ნაბიჯ-ნაბიჯ რუსეთთან აბრუნებს.

ბაქრაძის თქმით, არც რუსეთში ერთბაშად დაბრუნება და არც რუსეთისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ სვლა შეიძლება, საქართველოსთვის ღირსეული მომავალი იყოს.

პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ 20 წლის წინანდელი საქართველო გაიხსენა და აღნიშნა, რომ მაშინდელმა პრეზიდენტმა შევარდნაძემ რუსეთს ყველაფერი დაუთმო, ქვეყანა დსთ-ს წევრი გახდა, საქართველოში რუსული ბაზები 25 წლით დაკანონდა, ძალოვან მინისტრებად მოქმედი რუსი გენერლები დაინიშნენ. მიუხედავად ამისა, ბაქრაძის თქმით, საქართველოს გასამთლიანებლად არც ერთი ნაბიჯი არ გადადგმულა. **„ასეთია ოკუპანტის ბუნება და ამას უკვე საუკუნეები გვასწავლის - რაც მეტს დაუთმობ, მეტად დაგახრჩობს!** - აცხადებს ბაქრაძე. მისი აზრით, ამ დათმობების გზის ბოლოს ჩიხია. **„ჩვენ უნდა შევქმნათ რუსეთთან ცივილიზებული ურთიერთობის ისეთი მოდელი, რომელიც არასდროს გვქონია და ეს მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელია, როცა ჩვენ ნატო-სა და ევროპის ნაწილი ვიქნებით,"** - აღნიშნავს დავით ბაქრაძე.

საკუთარი ინფორმაცია

„სამოქალაქო დიალოგის პროცესში ძალადობის ადგილი არ არის"

ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილე დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და შრომის საკითხებში თომას მელია ჭელასა და სამთაწყაროში განვითარებულ მოვლენებს „მეტისმეტად შემაშფოთებელს" უწოდებს.

როგორც თომას მელიამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, თავისუფალი საზოგადოებების წინაშე ამგვარი გამოწვევები არსებობს, განსაკუთრებით კი - პოსტ-საბჭოთა სივრცეში.

„საბჭოთა კავშირის დროს რელიგიური ჯგუფები მუდმივად განიცდიდნენ ზეწოლას. ის, თუ როგორი დამოკიდებულებაა რელიგიურ უმრავლესობასა და უმცირესობას შორის, ერთგვარ გამოწვევას წარმოადგენს, თუმცა მე დღეს იმედიანი საუბარი მქონდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან და იმედით ვუყურებ საქართველოში რელიგიურ ჯგუფებს შორის დამოკიდებულების კუთხით მოვლენების განვითარებას," - აღნიშნა თომას მელიამ.

მისივე თქმით, რელიგიური თავისუფლება ის საკვანძო საკითხია, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

„ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველა ადამიანი თავისუფალია და ამერიკული საზოგადოება ამ ქვაკუთხედზეა აგებული. მიგვაჩნია, რომ რელიგიურ ჯგუფებს შორის დამოკიდებულება ის გარემოებაა, რომელიც სოციალურ სიმშვიდეს განაპირობებს. სწორედ ამიტომ ამერიკის შეერთებული შტატები საერთაშორისო პოლიტიკაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რელიგიურ თავისუფლებას და მიგვაჩნია, რომ ეს ნებისმიერი ახალი დემოკრატიისთვის საკვანძო საკითხია," - აღნიშნა თომას მელიამ. მისივე თქმით, ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს ახალ პრემიერ-მინისტრთან და პრეზიდენტთან თანამშრომლობას მოუთმენლად ელის. როგორც სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის საკითხის კომენტირებისას შენიშნა, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თავიდანვე განაცხადა, რომ პოლიტიკაში დიდხანს დარჩენას არ აპირებს და იგი ამ პირობას ასრულებს.

„რა თქმა უნდა, პრემიერ-მინისტრის წასვლა გარკვეულ გამოწვევებსა და პრობლემებს შექმნის, თუმცა დაველოდოთ, ვინ იქნება ახალი პრემიერ-მინისტრი. ჩვენ მოუთმენლად ველით ახალ პრემიერ-მინისტრთან და პრეზიდენტთან თანამშრომლობას," - აღნიშნა თომას მელიამ.

პრესკონფერენციამდე კი მელია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს შეხვდა.

პატრიარქმა და თომას მელიამ საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების, დემოკრატიული პროცესების განვითარების აუცილებლობის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და სირიაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ისაუბრეს.

პატრიარქმა ამერიკის დელეგაციას მიმართა, აშშ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში დაეხმაროს. პატრიარქმა რუსეთში პრეზიდენტ პუტინთან შეხვედრაც გაიხსენა და აღნიშნა, რომ მას პუტინთან მოლაპარაკებები ჰქონდა; უწმინდესმა დასძინა, რომ იგი 11 წელი აფხაზეთში ეპისკოპოსი იყო. პატრიარქი აფხაზეთის კონფლიქტს ხელოვნურად შექმნილ პრობლემად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიების ერთ-ერთი უძველესი ეპარქიები იყო.

„მე შევხვდი პუტინს და ვუთხარი, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი საქართველოს ღია ჭრილობაა; თითქოს იმედს იძლევიან, მაგრამ შედეგი არ ჩანს," - თქვა შეხვედრაზე უწმინდესმა.

თავის მხრივ, ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ პატრიარქს განუცხადა, რომ ამერიკა საქართველოს მხარდაჭერას და ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკას კვლავაც გააგრძელებს.

უწმინდესმა ამერიკის დელეგაციასთან შეხვედრაზე ასევე იმედი გამოთქვა, რომ საქართველოში ნამდვილი დემოკრატიული არჩევნები ჩატარდება და ქვეყანა წარსულში დაშვებულ შეცდომებს არ გაიმეორებს. პატრიარქი მიიჩნევს, რომ სიტყვის თავისუფლება დემოკრატიის განვითარების საწყისია, ასევე, მისი აზრით, მნიშვნელოვანია ქვეყანაში პროკურატურის თავისუფლება. პატრიარქმა გასული წლის ციხის მოვლენებიც გაიხსენა.

„ჩვენ გვახსოვს ციხის მდგომარეობა. არ გვინდა, განმეორდეს ის საშინელი ვითარება, რაც წარსულში იყო," - ბრძანა შეხვედრაზე უწმინდესმა.

საუბრისას სირიაში მიმდინარე მოვლენებსაც შეეხნენ. თომას მელიამ აღნიშნა, რომ რუსეთთან დიალოგში ჩართულები არიან. პატრიარქმა თავის მხრივ დასძინა, რომ სირიაში მიმდინარე მოვლენებს აკვირდება და იმედი გამოთქვა, რომ იქ არსებული ვითარება ფართომასშტაბიან ომის სახეს არ მიიღებს.

შეხვედრის დასრულების შემდეგ თომას მელია ჟურნალისტებს გაესაუბრა.

„ძალიან მოხარულები ვართ, რომ პატრიარქთან შეხვედრის შესაძლებლობა მოგვეცა. ვისაუბრეთ საქართველოში დემოკრატიის გასავითარებლად საჭირო საშუალებებზე, მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებზე, იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიულ პროცესებში თითოეული მოქალაქის ჩართულობას; ვისაუბრეთ და შევთანხმდით, რომ ძალადობა დაუშვებელია. პატრიარქმა ყურადღება გაამახვილა მართლმადიდებელი ეკლესიის დიდ როლზე საყოველთაო შემწყნარებლობის საქმეში," - აღნიშნა თომას მელიამ.

თომას მელიამ ასევე უპასუხა ჟურნალისტების შეკითხვებს სირიის თემაზე და აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობამ სოლიდარობა გამოხატა აშშ-ს მთავრობისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მიმართ, რომელთაც სირიაში არსებული ვითარებიდან გამოსავლის მოძებნა და ძალადობის შეწყვეტა სურთ.

„მზად ვართ, ვითანამშრომლოთ საქართველოს მთავრობასთან სირიის კონფლიქტიდან გამოსავლის პოვნაში. მოგეხსენებათ, ამჟამად სირიიდან ქიმიური იარაღის გამოსატანად აქტიური დიპლომატიური მოქმედებები მიმდინარეობს. ამ მომენტისთვის ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა," - დასძინა თომას მელიამ.

მოგვიანებით აშშ-ს საელჩომ შეხვედრის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა.

საელჩოს ცნობით, პატრიარქი და აშშ-ს დელეგაცია შეთანხმდნენ, რომ რელიგიური თავისუფლების საკითხებში ძალადობის ადგილი არ არის.

„პატრიარქი და დელეგაციის წევრები შეთანხმდნენ, რომ უმცირესობის უფლებებისა და რელიგიური თავისუფლების საკითხებზე საქართველოში მიმდინარე სამოქალაქო დიალოგის პროცესში ძალადობის ადგილი არ არის," - აღნიშნულია განცხადებაში, რომელიც აშშ-ს საელჩოს „ფეისბუქის" ოფიციალურ გვერდზე განთავსდა.

საქართველო სირიასთან დაკავშირებით აშშ-ის მიერ მიღებულ ერთობლივ განცხადებას მხარს უჭერს

საქართველო მხარს უჭერს აშშ-ის მიერ მიღებულ ერთობლივ განცხადებას სირიასთან მიმართებაში, რომელიც გმობს სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენებას. ამის შესახებ ინფორმაციას თეთრი სახლის ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, საქართველოს გარდა 6 სექტემბერს მიღებულ ერთობლივ განცხადებას მხარს უჭერს კიდევ 7 ქვეყანა - გვატემალა, ქუვეითი, მალტა, მონტენეგრო, პანამა, პოლონეთი და პორტუგალია. სულ კი 33-მდე გაიზარდა იმ ქვეყანათა რაოდენობა, რომლებიც მხარს უჭერენ აშშ-ისა და სხვა ქვეყნების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს სირიასთან მიმართებაში, რათა გაძლიერდეს ქიმიური იარაღის გამოყენების აკრძალვა.

ავსტრალიის, კანადის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის, კორეის რესპუბლიკის, საუდის არაბეთის, ესპანეთის, თურქეთის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის ლიდერებმა 6 სექტემბერს ერთობლივი განცხადება მიიღეს სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენების თაობაზე.

„ჩვენ ვგმობთ 21 აგვისტოს დამასკოს გარეუბნებში განხორციელებულ ქიმიურ შეტევას, რომელსაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. სამხილები ცხადყოფენ, რომ ამ შეტევაზე პასუხისმგებელი სირიის ხელისუფლებაა. მსოფლიო ვერ დაელოდება გაუთავებელ ჩაშლილ პროცესებს, რომელიც სირიაში დაღუპულთა რაოდენობასა და რეგიონულ არასტაბილურობას გაზრდის. ჩვენ მხარს ვუჭერთ აშშ-ისა და სხვა ქვეყნების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, რათა გამკაცრდეს აკრძალვა ქიმიური იარაღის გამოყენებაზე", - ნათქვამია განცხადებაში.

სოზარ სუბარი სამინისტროს თანამშრომლებისადმი მიმართვას ავრცელებს

სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი სამინისტროს თანამშრომლებისადმი წინასაარჩევნო მიმართვას ავრცელებს.

სოზარ სუბარი მიმართვაში აცხადებს, რომ სამინისტრო პატივს სცემს ყველა ადამიანის თავისუფალი არჩევანის უფლებას და მზადაა დაიცვას სამინისტროს თითოეული მოსამსახურის, ბრალდებულის/მსჯავრდებულის თავისუფალი არჩევანის უფლება.

„მოგმართავთ სამინისტროს თითოეულ თანამშრომელს, დაიცვათ საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და შესაბამისად, დაემორჩილოთ არსებულ შეზღუდვებს, კერძოდ:

• საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად არ შეიძლება დაინიშნონ სამინისტროს დეპარტამენტებისა და სამმართველოების ხელმძღვანელები და ასევე სამინისტროს სისტემაში დასაქმებული სამხედრო მოსამსახურეები;

• სამინისტროს თანამშრომელს არ აქვს უფლება იყოს დამკვირვებელი საარჩევნო კომისიაში ან საარჩევნო უბანზე;

• სამინისტროს თანამშრომელს ეკრძალება წინასაარჩევნო აგიტაციის წარმოება ან აგიტაციაში მონაწილეობის მიღება სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ მოვალეობებს;

• წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში აკრძალულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოქალაქეებისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა, მიწოდება ან დაპირება;

• სახელმწიფო ხელისუფლების მიერ დაფინანსებული სამსახურებრივი მივლინების დროს აკრძალულია ხელმოწერების შეგროვება და წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა", - აღნიშნულია სუბარის მიმართვაში.

მაია ფანჯიკიძემ ჟენევაში ოფიციალური ვიზიტი დაიწყო

საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ ჟენევაში ოფიციალური ვიზიტი დაიწყო. მან შეხვედრა გამართა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში გაეროს უმაღლეს კომისართან ნავი პილაისთან და ლტოლვილთა საკითხებში გაეროს უმაღლეს კომისართან ანტონიო გუტიერესთან.

გაეროს უმაღლეს კომისრებთან შეხვედრაზე მინისტრმა ოკუპირებული რეგიონების გასწვრივ რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ მავთულხლართებისა და მინაყრილების გავლების საკითხი დასვა და გაეროს შესაბამის ოფისებს ინფორმაცია მიაწოდა ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ არსებულ მძიმე მდგომარეობაზე.

მაია ფანჯიკიძემ გაეროს ოფისში გამართულ შეხვედრებზე, ასევე, ისაუბრა ახალი ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით გატარებულ რეფორმებზე.

სინას ნახევარკუნძულზე აფეთქებას მსხვერპლი მოჰყვა

სინას ნახევარკუნძულზე, ეგვიპტის დაზვერვის შტაბბინასთან ახლოს, დანაღმული მანქანა აფეთქდა. ეგვიპტის სახელმწიფო ტელეარხების ცნობით, აფეთქებას ექვსი ადამიანი ემსხვერპლა.

«ბი-ბი-სი"-ს ინფორმაციით, მსგავსი თავდასხმა მოხდა რაფაჰეში, რომელიც ეგვიპტისა და ღაზას სექტორის საზღვართან ახლოს მდებარეობს. აფეთქების შედეგად ათ ადამიანი დაშავდა. გასულ კვირას ეგვიპტის არმიამ ისლამისტი შეირაღებული მებრძოლების წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სპეცოპერაცია ჩაატარა. ნახევარკუნძლზე სიტუცია მკვეთრად გაუარესდა მას შემდეგ, რაც ეგვიპტის არმიამ მოქმედი პრეზიდენტი მოჰამედ მურსი გაადაყენა.

საარჩევნო კომისია: ნავალნის ხმების გადათვლა არ უთხოვია

მოსკოვის საქალაქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ ვალენტინ გორბუნოვის თქმით, ალექსეი ნავალნის, რომელიც მოსკოვის მერის არჩევნებში მონაწილეობდა, ხმების გადათვლის შესახებ ოფიციალური განცხადება არ შეუტანია.

ცნობისათვის - 8 სექტემბრის მოსკოვის მერის არჩევნებში მერის მოვალეობის შემსრულებელმა სერგეი სობიანინმა გაიმარჯვა, რომელმაც ამომრჩეველთა ხმების 51 პროცენტი მიიღო, ოპოზიციის კანდიდატი სერგეი ნავალნი 27 პროცენტით მეორე ადგილზე გავიდა. არჩევნების წინასწარი შედეგების გამოცხადებისთანავე ნავალნის შტაბმა «პრობლემურ" უბნებზე ხმების ხელახლა გადათვლა მოითხოვა.

ახალი მერის ინაუგურაცია 12 სექტემბერს გაიმართება.

ლიბიის დიპლომატიური უწყების შენობასთან აფეთქება მოხდა

11 სექტემბერს ლიბიის ქალაქ ბენღაზიში საგარეო საქმეთა სამინისტრო შენობასთან ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა. გასული წლის 11 სექტემბერს ამავე ქალაქში ამერიკის საკონსულოზე იერიშს ამერიკის ელჩი ლიბიაში ქრისტოფერ სტივენსი და საკონსულოს კიდევ ოთხი თანამშრომელი ემსხვერპლნენ.

«როიტერის" ინფორმაციით, აფეთქების შედეგად, სამინისტროს შენობის გარდა, ბენღაზის ცენტრში მდებარე რამდენიმე შენობა დაზიანდა. დაშავებულთა შესახებ ინფორმაცია ჯერ არ გავრცელებულა.

სტამბოლში დემონსტრანტები ცრემლსადენი გაზით დაშალეს

თურქეთის პოლიციამ 10 სექტემბრის საღამოს სტამბოლის ცენტრში გამოსული დემონსტრანტების წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი და წყლის ჭავლი გამოიყენა. როგორც თურქული გამოცემები წერენ, ამ აქციის მიზეზი 22 წლის აჰმეთ ატაკანის დაღუპვა გახდა, რომელიც ანტისამთავრობო გამოსვლებში მონაწილეობდა.

დემონსტრანტები ტაქსიმის მოედანზე შეჭრას შეეცადნენ. პოლიციამ დემონსტრაციის 40 მონაწილე დაკავა. ცრემლსადენი გაზის გამოყენების გამო ცოტა ხნით შეწერდა თურქეთისა და შვედეთის ახალგაზრდული ნაკრებების საფეხბურთო მატჩი, რომელიც ახლომდებარე რეჯეპ ტაიპ ერდოღანის სახელობის სტადიონზე მიმდინარეობდა.

სტამბოლის გარდა, დემონსტრაციები გაიმართა ანკარაში, იზმირსა და ატაკიაშიც, სადაც დაღუპული დემონსტრანტი ცხოვრობდა. პოლიციამ ცრემლსადენი გაზი ამ ქალაქებშიც გამოიყენა. აჰმეთ ატაკანი 10 სექტემბერს თავის ტვინის ტრამვით გარდაიცვალა. თვითმხილველების თქმით, ივნისის აქციების დროს ატაკანს პოლიციის ცრემლსადენი გაზის ბალონი მოხვდა თავში.

«ირანი ბირთვულ პროგრამაზე მოლაპაკებებისთვის მზადაა"

ირანის ახალმა პრეზიდენტმა ჰასან როუჰანმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ ირანი ქვეყნის ბირთვული პროგრამის შესახებ მოლაპარაკებებისთვის მზად არის.

«ჩვენ სრულიად მზად ვართ, მსოფლიოსთან, «ექვსეულთან", ბირთვული ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან სერიოზული მოლაპარაკებები გავმართოთ. ირანელ ხალხს აქვს უფლება, რა თქმა უნდა, საერთაშორისო შეთანხმების ფარგლებში, საკუთარ მიწაზე გაამდიდროს ურანი. თუ მეორე მხარე სურვილს გამოიჩენს, ირანის ბირთვული პროგრამის ირგვლივ არსებული პრობლემა უმოკლეს ვადებში გადაიჭრება," - განუცხადა პრეზიდენტმა ირანულ სააგენტოებს.

ცნობისათვის - ირანის ბირთვული პროგრამა დასავლეთის შეშფოთებას იწვევს, რადგან ეჭვობენ, რომ ირანს ურანის გამდიდრება ბირთვული იარაღის დასამზადებლად სჭირდება. ამ ბრალდებას ირანი კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ მას გამდიდრებული ურანი მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისთვის სჭირდება.

ტიმოშენკოს მხარდამჭერები ექს-პრემიერის დაუყოვნებლივ გამოკვლევას ითხოვენ

უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრის იულია ტიმოშენკოს მხარდამჭერები მისთვის სამედიცინო გამოკვლევის დაუყოვნებლივ ჩატარებას ითხოვენ. ტიმოშენკოს თანამებრძოლები შიშობენ, რომ მის ორგანიზმში, შესაძლოა, მომწამვლელი ნივთიერებაა მოხვედრილი.

ოპოზიციურ პარტია «ბატკივშჩინას" მიერ გავრცელებულ განცხადებაში საუბარია, რომ ოთხშაბათს კიევის მერიის ყოფილი თანამშრომელი სვეტლანა მაკეევა ღვიძლის კიბოთი გარდაიცვალა. მაკეევა გარკვეული პერიოდი ქალაქის საგამოძიებო იზოლატორში ტიმოშენკოს გვერდით იყო მოთავსებული. «ბატკივშჩინა" არ გამორიცხავს, რომ მაკეევას სიკვდილი ორგანიზმში მომწამვლელი ნივთიერების მოხვედრამ გამოიწვია.

ცნობისათვის - ტიმოშენკოს თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამატებისთვის 2011 წელს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

მოამზადა თამთა კახაძემ

12 წელი 9/11-ის ტრაგედიიდან

პირველი გვერდიდან

ცოტა ხნის წინ ამერიკელებმა წარმოადგინეს ახალი პროექტი «9/11-ის ხელახალი გააზრება", სადაც 12 წლის წინ მეშვიდე ცათამბჯენის ნგრევის ხელახალ გამოძიებას ითხოვენ. ორგანიზაცია «არქიტექტორები და ინჟინრები სიმართლისთვის" (რომელშიც 2000 სპეციალისტია გაერთიანებული) ეჭვქვეშ აყენებს მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ცათამბჯენების ნგრევის ოფიციალურ ვერსიას. სპეციალისტებს განსაკუთრებით მე-7 ცათამბჯენის ნგრევა აეჭვებთ, რომელიც პირველი ორი ცათამბჯენის ნგრევიდან ზუსტად ხუთ საათში დაინგრა. თაიმს-სკვერზე გამოჩნდა პეტიციის რეკლამა, რომლითაც ახალი გამოძიების ჩატარებას ითხოვენ. პეტიციას უკვე 7000-მა ადამიანმა მოაწერა ხელი.

2001 წლის 11 სექტემბერის ტრაგედიის დროს 3000 ადამიანი დაიღუპა. დაღუპულთა ხსოვნის დღეს აქტივისტებმა მერიაში პეტიცია შეიტანეს. საღამოს კი მოძრაობამ თაიმს-სკვერზე საპროტესტო მსვლელობა გამართა.

ახალი გამოძიების ინიციატორები ირწმუნებიან, რომ 47-სართულიანი მე-7 ცათამბჯენი ასე იოლად ვერ ჩამოინგრეოდა. ექსპერტებმა «გრაუნდ ზეროზე" ასაფეთქებელი მოწყობილობის ნაწილები აღმოაჩინეს და ვარაუდობენ, რომ ეს კონკრეტული შენობა ე.წ «კონტროლირებადი აფეთქების" შედეგად დაინგრა.

«მე-7 ცათამბჯენის ნგრევა შესაძლოა, ე.წ «კონტროლიებადი აფეთქების" შედეგი იყოს. ეს ტექნოლოგია ერთკვირიან მომზადებას ითვალისწინებს და მისი რეალიზება მხოლოდ წინასწარ დაგეგმილი სცენარით არის შესაძლებელი," -ამტკიცებენ მოძრაობის წარმომადგენლები.

ტრაგედიის მე-12 წლისთავზე სოციოლოგიურმა კომპანიამ YouGov-მა გამოკითხვა ჩაატარა. გამოკითხული ამერიკელების 46 პროცენტმა საერთოდ არ იცოდა, რომ ტყუპი ცათამბჯენების გარდა, კიდევ მესამე ცათამბჯენი ჩამოინგრა.

9/11-ის ტრაგედიის შემდეგ ამერიკის მაშინდელმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა საკუთარ ხალხს მიმართა და ტერორისტებს და მათ მფარველებს ომი გამოუცხადა. «ალ ქაიდას" ლიდერი უსამა ბინ ლადენი, რომელიც ამ თავდასხმების ორგანიზატორი იყო, ამერიკის სპეცრაზმმა ტრაგედიიდან 10 წლის შემდეგ, 2011 წლის ზაფხულში პაკისტანში, აბოტაბადში მოკლა.

ობამამ საკუთარ ხალხს მიმართა

პირველი გვერდიდან

„ჩვენ დარწმუნებულები უნდა ვიყოთ, რომ ყველაზე საშიშ იარაღს აღარასდროს გამოიყენებენ."

პრეზიდენტის თქმით, ამერიკა ვალდებულია, იმოქმედოს, მაშინ როდესაც ისეთი დიქტატორი, როგორიც სირიის პრეზიდენტი ბაშარ ალ-ასადია, კაცობრიობის დასაცავად დადებულ საერთაშორისო შეთანხმებებს «უტიფრად" არღვევს.

15-წუთიან მიმართვაში ობამამ ასევე განცხადა: „არავინ დავობს, რომ სირიაში ქიმიური იარაღი გამოიყენეს. მსოფლიომ ათასობით ფოტო და ვიდეო ნახა, რომლებიც ამ თავდასხმას ადასტურებს. ჰუმანიტარული ორგანიზაციებიც აცხადებენ, რომ საავადმყოფოებში მიყვანილი ხალხი გაზით იყო მოწამლული. ამასთან, ჩვენ ვიცით, რომ ამ თავდასხმაზე პასუხისმგებელია ასადის რეჟიმი. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ 21 აგვისტოს ასადის მხარდამჭერები იმ რაიონში, სადაც ზარინის გაზი გაუშვეს, თავდასხმისთვის ემზადებოდნენ. მათ საკუთარ სამხედროებს ნიღბები დაურიგეს," - აღნიშნა პრეზიდენტმა.

ობამამ მიმართვისას აქცენტი გააკეთა იმაზე, რომ ამერიკელი სამხედროები სირიის ტერიტორიაზე ფეხს არ დადგამენ: „მე სირიაში სამხედროებს არ გავგზავნი. ეს ლიმიტირებული დარტყმა იქნება. ამ დარტყმით ჩვენ ასადს შეტყობინებას გავუგზავნით. ამ დარტყმამ სირიის დიქტატორი შესაძლოა, კარგად დააფიქროს, სანამ ის კვლავ მიიღებს ქიმიური იარაღის გამოყენების გადაწყვეტილებას," - დასძინა პრეზიდენტმა.

ობამამ ასევე პირობა დადო, რომ განიხილავს მოსკოვის ინიციატივას, რომელიც სირიის ქიმიური იარაღის საერთაშორისო კონტროლქვეშ გადაცემას ითვალისწინებს. ამასთან, პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ჯერ კარგად უნდა გარკვეს, თუ რამდენად რეალურია ეს წინადადება. ობამამ ისიც თქვა, რომ ის რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან დიალოგს გააგრძელებს; ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი კი ხუთშაბათს ჟენევაში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს შეხვდება.

გაეროს უშიშროების საბჭოში კი საგანგებო სხდომა გადაიდო. სხდომაზე ის რეზოლუცია უნდა განეხილათ, რომელიც სირიის ქიმიური იარაღის გაუქმებას ეხებოდა. საფრანგეთის მიერ შედგენილი ამ რეზოლუციის პროექტის განხილვის გადადება რუსულმა მხარემ ითხოვა.

ამასთან, ამ კვირაში ამერიკის კონგრესში სირიაში ამერიკის სამხედრო ოპერაციის საკითხზე კენჭისყრა უნდა გამართულიყო. პრეზიდენტმა ობამამ კონგრესს სთხოვა, ხმის მიცემა მანამდე გადადოს, სანამ გაეროს უშიშროების საბჭო გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

რუსეთის ინიციტივას მაშინვე დაუჭირა მხარი დამასკომ. ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ კი განაცხადა, რომ ამ გეგმის განხორციელება ურთულესი საქმე იქნება. რუსეთის ინიციატივას არაბული ქვეყნების ლიგამაც მხარი დაუჭირა. ლიგის ხელმძღვანელმა ნაბილ არაბმა განაცხადა, რომ ლიგა ყოველთვის სირიის კონფლიქტის პოლიტიკური გზით მოგვარების მომხრე იყო.

ამერიკა, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი გაეროს უშიშროების საბჭოში ერთობლივი რეზოლუციის პროექტის შეტანას გეგმავდნენ, სადაც სირიას მოუწოდებენ, ქიმიური იარაღის ფლობა საჯაროდ აღიაროს და ამ იარაღის ლიკვიდაციას დათანხმდეს. აღნიშნული რეზოლუციის პროექტს უკვე შეეწინააღმდეგა რუსეთი. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ დევიდ კამერონის განცხადებით, რეზოლუციის მიზანია, დაადგინოს, თუ რამდენად შეეფერება რეალობას რუსეთის მიერ შემოთავაზებული წინადადება. რუსეთი რეზოლუციის პროექტს იმის გამო იწუნებს, რომ მასში მითითებულის გაეროს წესდების მე-7 მუხლი, რომელიც ძალის გამოყენებას გულისხმობს. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის განცხადებით, რუსეთი სირიის ქიმიური იარაღის საერთაშორისო კონტროლქვეშ გადაცემის შესახებ დეკლარაციის საკუთარ პროექტს წარმოადგენს.

როგორც «როიტერისთვის" გახდა ცნობილი, საფრანგეთის მიერ წარმოდგენილ რეზოლუციის პროექტში ასევე მითითებულია, რომ სირიის მთავრობამ უახლოესი პერიოდის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს გაეროს ინსპექტორების შეუზღუდავი დაშვება იმ ადგილებში, სადაც ქიმიური თუ ბიოლოგიური იარაღი ინახება. პროექტში ასევე მითითებულია, რომ დაუყოვნებლივ უნდა დაწესდეს შეზღუდვები ამ რეზოლუციის დამრღვევ პირთა მიმართ.

11 სექტემბერს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საგარეო ურთიერთობების კომიტეტის ხელმძღვანელმა ალექსეი პუშკოვმა ამერიკა რუსეთის მიერ წარდგენილი წინადადების ჩაშლის მცდელობაში დაადანაშაულა. პუშკოვმა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და უსაფრთხოების საკითხებში პრეზიდენტ ობამას მრჩევლის სკეპტიკურ განცხადებებზე ისაუბრა, რომლებშიც ნათქვამია, რომ რუსეთის გეგმიდან არაფერი გამოვა და ამერიკა სამხედრო დარტყმისთვის მზად უნდა იყოს.

სირიაში არსებული ვითარების შესახებ გაერომ ცოტა ხნის წინ ახალი მოხსენება წარმოადგინა, რომელშიც ნათქვამია, რომ კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ და სამხედრო დანაშაულს ორივე მხარე ჩადის. გაეროს მონაცემებით, ძალადობა და წამება ქვეყანაში ამ დროისთვის ყველაზე გავრცელებული დანაშაულია. სამთავრობო ძალები ხშირად იყენებენ კასეტურ საბრძოლო მასალას, რაც საერთაშორისო კონვენციით არის აკრძალული.

ამასთან, «როიტერის" ინფორმაციით, 11 სექტემბერს ვაშინგტონში გამართულ პრესკონფერენციაზე სირიის ოპოზიციური კოალიციის ლიდერმა ჰალედ სალეჰმა განაცხადა, რომ ამერიკამ ასადის მოწინააღმდეგეების შეიარაღება დაიწყო. ამის მიზეზი კი, სალეჰის თქმით, ის არის, რომ ამერიკა ამბოხებულთა უმაღლესი სამხედრო საბჭოს ეფექტურობაში დარწმუნებულია.

ცნობისათვის - სირიაში კონფლიქტი 2011 წლის გაზაფხულზე დაიწყო, რასაც, გაეროს მონაცემებით, 100 000 ადამიანზე მეტი ემსხვერპლა.

ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეა ინდუსტრიულ ზონას მომავალ კვირას გახსნიან

თამთა კახაძე

JUNG YEON-JE/AFP/GETTY IMAGES

ოფიციალური სეულის განცხადებით, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეა კესონის ინდუსტრიულ ზონის მუშაობის განახლებაზე შეთანხმდნენ.

სამხრეთ კორეის გაერთიანების სამინისტროს პრესრელიზში ნათქვამია, რომ კესონის ინდუსტრიული ზონა 16 სექტემბერს გაიხსნება. ამ ზონის გახსნის ზუსტი თარიღი მხარეებმა რამდენიმესაათიანი მოლაპარაკების შემდეგ განსაზღვრეს.

ცნობისათვის - კომპლექსი 2013 წლის აპრილში მას შემდეგ, რაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა მკვეთრად დაიძაბა. ჩრდილოეთ კორეამ სამხრეთ კორეის მუშები კომპლექსიდან გააძევა და ამ ზონაში არსებული ქარხნების მუშაობა შეჩერა. კორეის ნახევარკუნძულზე ვითარება 12 თებერვალს, ჩრდილოეთ კორეის მიერ მესამე ბირთვული ცდის ჩატარების გამო გამწვავდა. ამ ცდის შემდეგ გაერომ ჩრდილოეთ კორეის მიმართ სანქციები კიდევ უფრო გაამკაცრა. ამავე პერიოდს «დაემთხვა" ამერიკისა და სამხრეთ კორეის ერთობლივი წვრთნები, რამაც ჩრდილოეთ კორეა გააღიზიანა. უკანასკნელი თვეების განმავლობაში კი დაძაბულობა განელდა.

მხარეებმა გახსნის შესახებ შეთანხმებას 14 აგვისტოს მიაღწიეს. რამდენიმერაუნდიანი მოლაპარაკებები გარკვეული პერიოდით შეფერხებული იყო - სამხრეთ კორეა გარანტიებს ითხოვდა, რათა მომავალში ინდუსტრიულ ზონაში სამუშაოები აღარ შეჩერებულიყო.

ხუთპუნქტიან შეთანხმებაში საუბარია, რომ ამ კომპლექსში სამუშაოები «პოლიტიკური ან სხვა მიზეზების გამო" აღარ უნდა შეჩერდეს.

კესონის ინდუსტრიულ ზონა ჩრდილოეთ კორეის ლიდერ კიმ ჩენ ინის რეჟიმისთვის მნიშვნელოვან ეკონომიკურ წყაროს წარმოადგენს - კომპლექსში განთავსებულ სამხრეთ კორეის 120 ქარხანაში, სადაც ყველწლიურად ასობით მილიონობით დოლარის პროდუქციას აწარმოებენ, ჩრდილოეთ კორეის 53 000 მოქალაქეა დასაქმებული. კომპლექსის მუშაობის შეჩერების გამო სამხრეთკორეული ფირმები მომდევნო ერთი წლის განმავლობაში გადასახადებისგან გათავისუფლდებიან.

ასევე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ მხარეები უცხოელი ინვესტორების მისაზიდად ოქტომბერში სპეციალური წარმოდგენის გამართვას გეგმავენ.

მალე თელავში - მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი

პირველი გვერდიდან

ფესტივალი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით და „კლასიკური მუსიკის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის ცენტრის“ ორგანიზებით გაიმართება, გენერალური სპონსორი გახლავთ კომპანია „კავკასუს ონლაინი“. ფესტივალის დამფუძნებელი და გენერალური სამხატვრო ხელმძღვანელია ცნობილი ქართველი პიანისტი ელისო ვირსალაძე.

2013 წლის ფესტივალი მოიცავს 6 კონცერტს, რომლის უმეტესობა საერთაშორისო საფესტივალო ორკესტრის თანხლებით გაიმართება. იგი დაკომპლექტდა საგანგებოდ ფესტივალისთვის და მასში უკრავენ მაღალპროფესიონალი მუსიკოსები სხვადასხვა ქვეყნიდან. ორკესტრს წარუძღვება დირიჟორი არიელ ცუკერმანი.

2013 წლის ფესტივალი სოლისტების შემდეგი შემადგენლობით წარსდგება მსმენელის წინაშე: ელისო ვირსალაძე, კოლა (ლუკას ნიკოლაი) ბლაჰერი, ინგოლფ ტურბანი, ნატალია გუტმანი, ედუარდ ბრუნერი, ბენჟამინ გილმორი, მიხეილ ქართველიშვილი, ნოდარ ჟვანია, ჩულ გინ პაკი, გიორგი ქობულაშვილი, ჯააკო ლუომა, თამაზ ბათიაშვილი, პჟემისელ ვოიტა, მიხეილ ქართველიშვილი. ფესტივალზე მსმენელის წინაშე ასევე წარსდგებიან საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „რუსთავი“ და სიმებიანი კვარტეტი „იბერი“.

წლევანდელ პროგრამაშია საოპერო მუსიკის კონცერტიც, 13 ოქტომბერს თელავში სოლისტები მზია ნიორაძე და ტიფანი ობანი წარდგებიან მსმენელის წინაშე.

კონცერტები, ტრადიციულად, თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის დრამატული თეატრის სცენაზე გაიმართება. საფესტივალო საღამოები მსმენელს სთავაზობს მრავალფეროვან პროგრამას, რომელშიც შესულია მსოფლიო კლასიკური მუსიკის შედევრები. ფესტივალის ფარგლებში გაიმართება ბელგიელი ფოტოხელოვანის დერეკ პრაჟერის ფოტოგამოფენა.

ფესტივალს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია და დიდი ტრადიციები აქვს. ელისო ვირსალაძის მიერ 80-ან წლებში დაარსებულ ფესტივალს (სახელწოდებით „ქება ვაზისა“) ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ანალოგი არ მოეძებნებოდა, არც ფორმატით (კონცერტების სერია და მასტერკლასები), არც მონაწილეთა შემადგენლობით და არც ასეთი მასშტაბის ფესტივალის ჩატარებით ქვეყნის რეგიონში. შემდგომ, ქვეყანაში არსებული ვითარებისა და ობიექტური მიზეზების გამო, ფესტივალი აღარ ჩატარებულა.

2010 წლის ოქტომბერში, თითქმის ოცწლიანი პაუზის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და ელისო ვირსალაძის ინიციატივით, მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი თელავში განახლებული სახით (ასევე, სახელწოდებით) აღდგა. სპეციალურად ფესტივალისთვის სახელმწიფომ შეიძინა „Steinway & Sons“-ის საუკეთესო ორი საკონცერტო როიალი. წელს კლასიკური მუსიკის ფორუმი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ტარდება. გენერალური სპონსორია კომპანია „კავკასუს ონლაინი“, რომელიც ინტერნეტით ფესტივალის ონლაინ ჩვენებას უზრუნველყოფს ვებ გვერდზე w.

ფესტივალი ტარდება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით.

ბილეთები იყიდება თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიისა და თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სალაროებში.

გენერალური სპონსორი - „კავკასუს ონლაინი“. მხარდამჭერები: კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორის ადმინისტრაცია, თბილისის მერია, ალექსანდრე ჭავჭავაძის მუზეუმი „წინანდალი“, სასტუმროთა ქსელი „ელ-ჯი“, სასტუმროთა ქსელი „რჩეული“, სასტუმრო „ძველი თელავი“, „ვინივერია“, კომპანია „JTC“ კომპანია „VT Georgia“.

საინფორმაციო მხარდაჭერა: საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, „რუსთავი 2, გაზეთები „24 საათი“ და „ჯორჯია თუდეი“, „Focus TV“, „GHN“, „რადიო მუზა“ და „რადიო ერთი, „არტარეა“.

მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი თელავში 2013

12 ოქტომბერი (შაბათი)

ფესტივალის საზეიმო გახსნა
კონცერტი
პროგრამაშია: ქართული ხალხური სიმღერები
ბეთჰოვენი კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის #3 თხზ.37
ბრამსი - კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის თხზ. 77
მონაწილეობენ: საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი «რუსთავი»; საერთაშორისო საფესტივალო ორკესტრი
დირიჟორი არიელ ცუკერმანი
სოლისტები: კოლია ბლაჰერი; ელისო ვირსალაძე

13 ოქტომბერი (კვირა)

საოპერო მუსიკის კონცერტი
პროგრამაშია: ვერდი, სენ-სანსი, ბოროდინი, მუსორგსკი
მონაწილეობენ: საერთაშორისო საფესტივალო ორკესტრი - დირიჟორი არიელ ცუკერმანი
სოლისტები: მზია ნიორაძე; ტიფანი აბანი

14 ოქტომბერი (ორშაბათი)

კამერული მუსიკის კონცერტი
პროგრამაშია: შუბერტი - სიმებიანი კვინტეტი თხზ 163; შუმანი - საფორტეპიანო კვინტეტი
მონაწილეობენ: ელისო ვირსალაძე, კოლია ბლაჰერი, თამაზ ბათიაშვილი, ბენჟამენ გილმორი, ნოდარ ჟვანია, ჩულ გინ პაკი, ნატალია გუტმანი.

17 ოქტომბერი (ხუთშაბათი)

კამერული მუსიკის კონცერტი
«ბეთჰოვენი, მისი მეგობრები და მოსწავლეები»
პროგრამაშია: ფრანც დანცი - კვინტეტი ფორტეპიანოსა და ჩასაბერი ინსტრუმენტებისათვის
ანტონ რეიხა - კვინტეტი კლარნეტისა და სიმებიანი კვარტეტისათვის
კროიცერი - სეპტეტი - ჩასაბერი და სიმებიანი ინსტრუმენტებისათვის
მონაწილეობენ: ელისო ვირსალაძე, ედუარდ ბრუნერი, გიორგი ქობულაშვილი, ჯააკო ლუომა, პჟემისელ ვოიტა, მიხეილ ქართველიშვილი, სიმებიანი კვარტეტი «იბერი».

17 ოქტომბერი (ხუთშაბათი)

(მუსიკალური კოლეჯის დარბაზი)
კონცერტი - მომავალი თაობა

19 ოქტომბერი (შაბათი)

კამერული მუსიკის კონცერტი
პროგრამაშია: ბეთჰოვენი- კვარტეტი ფ-ნოსა და სიმებიანი ტრიოსათვის თხზ 16
ჰუმელი - საფორტეპიანო კვინტეტი თხზ 87
მონაწილეობენ: ელისო ვირსალაძე, ინგოლფ ტურბანი, ბენჟამინ გილმორი, ნატალია გუტმანი, მიხეილ ქართველიშვილი.

20 ოქტომბერი (კვირა)

ფესტივალის დასკვნითი კონცერტი

პროგრამაშია: ბარდანაშვილი - კონცერტი ფლეიტისა და სიმებიანი ორკესტრისათვის «სულის გარდასახვანი»
შოსტაკოვიჩი - კონცერტი ჩელოსა და ორკესტრისათვის #2 თხზ 126

ბეთჰოვენი - კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის #5 თხზ. 73
მონაწილეობენ: თბილისის კამერული ორკესტრი «საქართველოს სინფონიეტა»
საფესტივალო სიმფონიური ორკესტრი
დირიჟორი - არიელ ცუკერმანი
სოლისტები: ელისო ვირსალაძე, ნატალია გუტმანი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ორ აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.2013 წლის 10 სექტემბრიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ორ საშტატო ერთეულზე;

2.კონკურსი უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს;
3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:
ა) უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული ანკეტა (შევსებული);
ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
გ) ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
დ) ოთხი ფოტოსურათი 3X4;
ე) ბოლო ერთი წლის განმავლობაში საერთაშორისო გამოცემაში დაბეჭდილი მინიმუმ 2 სტატია ბიზნესის სფეროში;
ვ) ბოლო ერთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული მინიმუმ 3 კვლევა;
ზ) ბოლო ერთი წლის განმავლობაში საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა ბიზნესის სფეროში;
თ) ერთი სასწავლო კურსის სასწავლო გეგმა (სილაბუსი ბიზნესის მიმართულებით);
4. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე პირს, კერძოდ:
ა) ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი საბუთის ასლი; (უცხოეთში მიღებული აკადემიური ხარისხის შემთხვევაში, კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი), ამასთან სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
5. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა პირადი მონაცემების შეფასება მოხდება უფლებამოსილი ორგნოს- ბიზნესის სკოლის საბჭოს ან აკადემიური საბჭოს მიერ. გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას შემდეგი ძირითადი კრიტერიუმები:
ა) კანდიდატის უნარი, მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნების საფუძველზე ასწავლოს კურსები შესაბამის სპეციალობაში;
ბ) პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილება;
გ) სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობა და ხარისხი
დ) კვლევისათვის სახსრების მოძიებისა და კვლევითი სამუშაოების გამოცდილება;
6. საკონკურსო განცხადებების მიღება იწარმოებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში, მის: ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5, 2013 წლის 11 ოქტომბრიდან 2013 წლის 25 ოქტომბრის ჩათვლით.
7. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2013 წლის 26 ნოემბერს;
8. საბუთები უნდა იყოს წარმოდგენილი აგრეთვე ელექტრონული ფორმით . საბუთების ელექტრონული ვერსია უნდა გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე: info@iliauni.edu.ge

რექტორი გიგი თევზაძე

ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზების შესახებ

№	ნაკვეთის ადგილმდებარეობა	დანიშნულება	მიწის ფართობი მ²	ფასი (ლარი)	ბე (ლარი)	„ბიჯი“ (ლარი)	მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი	პირობები
1	ასპინძის მუნიციპალიტეტი.	არასასოფლო-სამე-ურნეო მიწის ნაკვეთი	315.00	2041.20	408.24	204.12	60.01.31.031	----

აუქციონში მონაწილეობა, პირობები, თანხის გადახდის ვადები და სანქციები: აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.
აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენა: აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ძირითად საშუალებებზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა. თანხის გადახდა უნდა მოხდეს აუქციონის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება. მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება.
ინფორმაცია განაცხადის მიღების შესახებ: აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს განცხადების გამოქვეყნების დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში აუქციონის ჩატარების დღემდე 10-00 სთ-იდან 17-00 სთ-მდე. თვითმმართველი ასპინძის მუნიციპალიტეტი. თამარის ქ №3, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10-00 სთ-დან 15-00 სთ-მდე. აუქციონი გაიმართება 16 საათზე.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განმცხადებელმა რეგისტრატორს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:
1. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი.
2. „ბე“-ს შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს:
ს/ს „ლიბერთი ბანკი“ ასპინძის ფილიალი
ბ/კ ღთ 22
ს/კ 223105155
ა/ა 48 0120141752740000 (მიეთითოს გადასახადის დანიშნულება)
3. **მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი(ორი ასლით) –ბილეთის ფასი 20 (ოცი) ლარი**
4. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (ასლით)
5. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.
6. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.
7. იურიდიული პირისათვის ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტთან დავალიანების არ არსებობის შესახებ.
სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს.
დამატებითი ინფორმაცია: კალენდარული დღეთა ათვლა მიმდინარეობს ასპინძის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე. წწწ. ასპინდზა.გე -ზე განთავსების დღიდან. იმ შემთხვევაში თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება პირველსავე სამუშაო დღეს, ხოლო აუქციონი ჩატარდება იმავე დღის 16-00 სთ-ზე.
მონაწილეს უფლება აქვს „ბე“-ს დაუკავებლად წერილობით უარი განაცხადოს აუქციონში მონაწილეობაზე, მხოლოდ განცხადების მიღების პერიოდში. სხვა შემთხვევაში (მათ შორის: აუქციონზე გამოუცხადებლობისას) მის მიერ გადახდილი „ბე“ უკან არ უბრუნდება.
დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:
ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობა. თამარის №3 I სართული. ტელ:. (5-364) 29 16 16. 591 91 89 94 სააუქციონო კომისიას.

დეშამის გუნდს საქართველოში მომზადებამ არგო

საფრანგეთის ეროვნული ნაკრები მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში 6 სექტემბერს საქართველოს ნულოვანი ფრით გაეყარა და ჯგუფში მეორე ადგილის გასამყარებლად ბელარუსთან შესახვედრად ემზადება. მზადება დაიწყო საქართველოში, „დინამოს“ დიღმის ბაზაზე, რამაც საფრანგეთის ფეხბურთის მესვეურთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

სტუმართა დელეგაციას საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოელ ლე გრაეტი ხელმძღვანელობდა.

თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტმა რომან ფიფიამ ფრანგ სტუმრებს, დიღმის საწვრთნელი ბაზის შემდეგ, „დინამოს“ ვიტალი დარასელიას სახელობის ბავშვთა საფეხბურთო აკადემიაშიც უმასპინძლა, რამაც საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის ბერნარდ დესუმერის აღფრთოვანება გამოიწვია: „საქართველოში ჩამოსულებს სიურპრიზი დაგვხვდა. რაც ვნახეთ, ყველაფერი უმაღლესი ხარისხითაა გაკეთებული. ბევრი ფრანგული კლუბი იოცნებებდა ისეთ პირობებზე, როგორიც თბილისის «დინამოს“ აქვს. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო მოედნებზე მინდვრის ხარისხი. «დინამოში“ ყველა დეტალი არის გათვლილი, რათა ახალგაზრდა ფეხბურთელებმა უფრო განავითარონ თავიანთი შესაძლებლობები. აქაური პირობებით ახალგაზრდები უფრო მოტივირებულები მიუდგებიან საქმეს. «დინამოს“ აკადემიაში ჩამოყალიბდებიან კარგი ფეხბურთელები. ვფიქრობ, კლუბის ხელმძღვანელობამ მომავლისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა და ძალიან კარგი სამუშაო გასწია. დარწმუნებული ვარ, თბილისის «დინამო“ მოკლე დროში ბევრად უფრო ძლიერი გუნდი იქნება არა მარტო ეროვნულ ასპარეზზე, არამედ საერთაშორისო სარბიელზე“.

საქართველოში მომზადებამ დიდიე დეშამის გუნდს რომ არგო, ფაქტია - სტუმრად ბელარუსის ნაკრებთან 4:2 მოგებული მატჩით I ჯგუფში, სულ მცირე, მეორე ადგილი გაინაღდა.

ჟერარდ სარაგოსა მულეტი: „სტარტით კმაყოფილი ვარ, იმედია, ასე გავაგრძელებთ“



მოგეხსენებათ, რუსთავის «მეტალურგთან“ ქუთაისში ნათამაშები ფრის(1:1) შემდეგ, ს/კ «ტორპედომ“ ზედიზედ 2 გასვლითი მატჩი დაასრულა გამარჯვებით - «ზესტაფონთან“(3:2) და «სპარტაკთან“(1:0). ჩვენი გუნდის ესპანელ თავკაცს ეროვნულ ჩემპიონატში ქუთაისელთა სტარტის შეფასება და მომავალ მატჩზე კომენტარის გაკეთება ვთხოვეთ.

ჟერარდ სარაგოსა მულეტი: «თავიდან, ცხინვალის «სპარტაკთან“ გამართულ შეხვედრაზე ვთქვათ, რომელიც დადებითი შედეგით დავასრულეთ და მორიგი სამი ქულა მოვიპოვეთ. უნდა ავღნიშნო, რომ ამ თამაშში ბოლომდე არ დამაკმაყოფილა ჩემი ფეხბურთელების შეტევაში მოქმედებებმა, მაგრამ ჩვენ საკუთარი კარი შევინახეთ 0-ზე, დაცვაშიც ნორმალურად ვითამაშეთ და აქედან გამომდინარე გამარჯვებასაც მივაღწიეთ, რაც, რა თქმა უნდა, ლოგიკური იყო. არ ვიყავით მოწოდების სიმაღლეზე, მაგრამ, მიმაჩნია, რომ «სპარტაკზე“ კარგი გუნდი ვართ.

რაც შეეხება მთლიანად სტარტს, კმაყოფილი ვარ, რომ ახალმა დაკომპლექტებულმა გუნდმა მოახერხა და 9 შესაძლებელი ქულიდან 7 აიღო. იმედი მაქვს, ასე გავაგრძელებთ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ჩვენ თანდათან უნდა გავაუმჯობესოთ თამაში, თუმცა მთავარი შედეგია და სწორედ განვლილ სამ ტურში ნაჩვენები შედეგები კიდევ უფრო მეტად მაძლევს იმის ოპტიმიზმის საფუძველს, რომ გუნდი უფრო გაიზრდება და განვითარდება.

ვიცი, რომ ჩვენი მომდევნო მეტოქე - ლანჩხუთის «გურია“ ერთ-ერთი ტრადიციული საფეხბურთო კლუბია საქართველოში. მიმდინარე ჩემპიონატში ამ გუნდმა ორივე საშინაო თამაში მოიგო, თანაც, ბოლოს თბილისის «დინამოს“ სძლია(2:1), ამიტომ, უდავოდ, ანგარიშგასაწევი ძალაა. სამწუხაროდ, «ტორპედო“ მომავალ მატჩს დანაკლისებით ხვდება, იცით, რამდენიმე ფეხბურთელს ტრავმა აქვს, პლუს დისკვალიფიცირებული ნიკა ფირცხალავაც. მოგვიანებით შემოგვიერთდებიან 21-წლამდე ნაკრებში მყოფი ფეხბურთელებიც. ამრიგად, თამაშამდე 2 დღით ადრე ჩამოყალიბებულები არ ვართ თუ რა შემადგენლობით შევხვდებით მეტოქეს. ჩვენ იმ გზაზე მივდივართ, რომელიც თავიდან ავირჩიეთ, ახლა კი უახლოესი მიზანი «გურიასთან“ მოგებაა“.

fctorpedo.ge

მკლავჭიდელებმა მსოფლიო ჩემპიონატის შედეგები შეაჯამეს

მკლავჭიდელთა ნაკრების წევრები და მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტი ერეკლე გურჩიანი ჟურნალისტებს სპორტკომპლექს «არენაში“ შეხვდნენ და განვლილი მსოფლიო ჩემპიონატის შედეგები შეაჯამეს.

1-8 სექტემბერს პოლონეთის ქალაქ გდანსკში გაიმართა მკლავჭიდის მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც 49 ქვეყნის 1000-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა. საქართველოს ნაკრების წევრები ტურნირზე წარმატებით გამოვიდნენ და სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში სულ 15 მედალი მოიპოვეს.

უფროსებს შორის ყველაზე პრესტიჟულ მძიმე წონით კატეგორიაში ჩემპიონის ტიტული მოიპოვა რევაზ ლუტიძემ, რომელმაც 9 შეხვედრა მოიგო, დაამარცხა უძლიერესი ამერიკელი, რუსი, უკრაინელი, კანადელი და სლოვაკი მკლავჭიდელები, ფინალში კი ბელარუს სპორტსმენს სძლია.

დიდებს შორის ქართველმა მკლავჭიდელებმა კიდევ 5 მედალი მოიპოვეს - ვერცხლს გიორგი თვალიაშვილი (85 კგ.) და ირაკლი გამთენაძე (90 კგ.) დაეუფლნენ, ბრინჯაო კი ვასილ დაუთაშვილმა, ჯაბა გეთიაშვილმა და რევაზ ლუტიძემ (მარცხენა მკლავით) აიღეს.

საქართველოს ნაკრების წევრები კიდევ უფრო შთამბეჭდავად გამოვიდნენ ასაკობრივ კატეგორიებში და ახალგაზრდებსა და ჭაბუკებს შორის 3-3 ოქროს მედალი აიღეს. მსოფლიო ჩემპიონები ახალგაზრდებს შორის გახდნენ იმედა ჭინჭარაული (55 კგ. მარცხენა, მარჯვენა) და ნიკოლოზ წერეთელი (65 კგ.), ჭაბუკებს შორის კი ყველას გურამ აბულაშვილმა (65 კგ. მარჯვენა-მარცხენა) და ვალერი მელაძემ (80 კგ.) აჯობეს.

დიდები

1 ოქრო - რევაზ ლუტიძე (+ 110, მარჯვენა)

2 ვერცხლი - გიორგი თვალიაშვილი (85 კგ, მარჯვენა), ირაკლი გამთენაძე (90 კგ, მარჯვენა)

3 ბრინჯაო - ვასილ დაუთაშვილი (100 კგ. მარჯვენა), ჯაბა გეთიაშვილი (80 კგ, მარცხენა), რევაზ ლუტიძე (+ 110, მარცხენა)

ახალგაზრდები

3 ოქრო - იმედა ჭინჭარაული (55 კგ. მარჯვენა), იმედა ჭინჭარაული (55 კგ. მარცხენა), ნიკოლოზ წერეთელი (65 კგ, მარჯვენა)

1 ბრინჯაო - მერაბ კაკაბაძე (80 კგ, მარცხენა)

ჭაბუკები

3 ოქრო - გურამ აბულაშვილი (65 კგ, მარცხენა), გურამ აბულაშვილი (65 კგ. მარჯვენა), ვალერი მელაძე (80 კგ. მარცხენა)

1 ვერცხლი - ელჩინ ბინატოვი (80 კგ. მარჯვენა)

შეჯიბრება შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების სპორტსმენთა შორის

1 ვერცხლი - ბესიკ ლეკიაშვილი (75 კგ. მარჯვენა)

სამინისტროს პრესსამსახური

ტრაპატონი ირლანდიის ნაკრებიდან გაუშვეს

ირლანდიის საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან ცნობილი იტალიელი სპეციალისტი ჯოვანი ტრაპატონი თანაშემწე მარკო ტარდელისთან ერთად გაათავისუფლეს. მიზეზი 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გაუსვლელობაა, რაც თავის მხრივ განაპირობა ავსტრიასთან (0:1) წაგებულმა შეხვედრამ.

74 წლის ჯოვანი ტრაპატონი ირლანდიის ნაკრებს 2008 წლიდან წვრთნიდა.

მესი მსოფლიო ჩემპიონობაზე ოცნებობს

2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევში პარაგვაისთან 5:2 მოგებული მატჩის შემდეგ არგენტინელმა ლიონელ მესიმ მუნდიალზე გამარჯვების ოცნება გაამხილა: „ჩემი ოცნება მსოფლიო ჩემპიონობაა. არგენტინის ნაკრებში წარმატების მისაღწევად ყველაფერს ვაკეთებ, მაგრამ წინ დიდი გზა გვაქვს გასავლელი. ვიცით, რაც გვინდა. უმთავრესი კი ბრაზილიაში წარმატების მიღწევაა“, - ამბობს არგენტინელი, რომელმაც 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევში სამხრეთ ამერიკის ზონაში პარაგვაისთან მოგებით ორი ტურით ადრე გაინაღდა ბრაზილიური საგზური.

5:2 მოგებულ შეხვედრაში „ბარსელონას“ ვარსკვლავმა ორი პენალტი გაიტანა და ახლა, როდესაც მუნდიალზე თამაში გარანტირებული აქვს, სურს, 1986 წლის შემდეგ, ალბისელესტელთა რიგებში მსოფლიო ჩემპიონის პირველი ტიტულიც მოიგოს.

არგენტინის საფეხბურთო ასოციაციამ განაცხადა, რომ მესი საკვალიფიკაციო ეტაპის დროს ნაკრებში არ უნდა გამოეძახათ, რაზეც მესი პასუხობს, რომ ამის შესახებ არაფერი იცის.

ბრაზილიის მსოფლიო ჩემპიონატის ათი მონაწილე ცნობილია

ბრაზილიის საგაისო მსოფლიო ჩემპიონატის 32 საგზურიდან ათს პატრონი გამოუჩნდა. მუნდიალის საგზურები ევროპიდან პირველებმა ჰოლანდიამ და იტალიამ მოიპოვეს. მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს არგენტინამ, აშშ-მ, კოსტა რიკამ, ირანმა, იაპონიამ, ავსტრალიამ და სამხრეთ კორეამ, მეათე საგზური კი ბრაზილიისა, რომელიც, როგორც პირველობის მასპინძელი, ავტომატურად ჩაერთვება გათამაშებაში.

რონალდუ ყველაზე პოპულარული სპორტსმენია

გავლენიანი ფრანგული სპორტული გამოცემა „ეკიპი“ აქვეყნებს ათი ყველაზე პოპულარული სპორტსმენის სიას, რომელიც, თავის მხრივ, ეყრდნობა Facebook-ის მომხმარებელთა მხრიდან ამა თუ იმ სპორტსმენის გვერდის მოწონებების რაოდენობის გათვალისწინებით შემდგარ ერთგვარ რეიტინგს.

მოწინავეთა ათეულში ყველაზე მეტია ფეხბურთელი (მათ ექვსი ადგილი დაიკავეს), სამია კალათბურთელი და ერთიც ჩოგბურთელი. რეიტინგის პირველი საფეხური უკავია „რეალის“ პორტუგალიელ თავდამსხმელს კრიშტიანო რონალდოს, რომელიც 12 მილიონი თაყვანისმცემლით წინაა „ბარსელონას“ არგენტინელ ვუნდერკინდ ლიონელ მესიზე.

სიაში მესამე ადგილი უკავია დევიდ ბექჰემს, რომელმაც ახლახან დაასრულა აქტიური საფეხბურთო კარიერა.

ათეული კი ასე გამოიყურება:

1. კრიშტიანო რონალდო (პორტუგალია, ფეხბურთი) - 60 274 869
2. ლიონელ მესი (არგენტინა, ფეხბურთი) - 48 000 104
3. დევიდ ბექჰემი (ინგლისი, ფეხბურთი) - 29 150 690
4. მაიკლ ჯორდანი (აშშ, კალათბურთი) - 23 817 809
5. კაკა (ბრაზილია, ფეხბურთი) - 23 477 568
6. კობი ბრაიანტი (აშშ, კალათბურთი) - 16 693 216
7. ლებრონ ჯეიმსი (აშშ, კალათბურთი) - 14 802 829
8. ანდრეს ინიესტა (ესპანეთი, ფეხბურთი) - 14 357 223
9. ნეიმარი (ბრაზილია, ფეხბურთი) - 13 388 531
10. როჯერ ფედერერი (შვეიცარია, ჩოგბურთი) - 13 289 792

ბლატერის აზრით, ყატარისთვის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობა შეცდომაა

ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი 2022 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ყატარისთვის მინდობას შეცდომად თვლის და აღიარებს, რომ უნდა გაეთვალისწინებინათ სპარსეთის ყურის რეგიონის კლიმატი, ის, რომ ზაფხულში მისი იქ ჩატარება არ არის მიზანშეწონილი: „მიუხედავად იმისა, რომ ყატარელები საოცრებებს იგონებენ ზაფხულის ხვატის გაუვნებელყოფისთვის, მაინც მიმაჩნია, რომ იქ მუნდიალის გამართვა თითქმის შეუძლებელია. წესებში არსად წერია, რომ ჩემპიონატი მაინცდამაინც ივლისში უნდა ჩატარდეს. ეს საკითხი ფიფას ნებაზეა“.

ფიფას ხელმძღვანელი იმასაც ამბობს, რომ წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ან ევროპას უნდა ემასპინძლა, ან სამხრეთ ამერიკას: „მსოფლიო უკვე აღარ არის ისეთი დიდი, როგორიც ადრე გვეჩვენებოდა. თუ სტატუს კვოს დავუბრუნდებით, გამოდის, რომ ქვეყნებს, რომლებიც ეკვატორის სიახლოვეს არიან და ევროპისგან განსხვავებული კლიმატური პირობები აქვთ, არასოდეს მიეცემათ მუნდიალის მასპინძლობის შანსი, ეს კი უსამართლოა.

ჩვენ, ევროპელები, ასეთი გამორჩეულები ვართ, რომ მთელს მსოფლიოს ვუკარნახოთ ჩვენი პირობები? 800 მილიონი კაცი 7 მილიარდის წინააღმდეგ? დროა, ევროპა მიხვდეს, რომ მსოფლიოს მბრძანებელი აღარ არის“.

...ფიფამ 2022 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება ყატარს 2010 წლის დეკემბერში მიანიჭა.

კოტე ტულუში: „ესპანურის გაკვეთილები და ვესელი"

ზურა თალაკვაძე

ხორვატიის ერთ-ერთი ლიდერი ანტე ტომიჩი

საქართველოს ნაკრებმა დახურა ევრობასკეტი და კოტე ტულუში ჯერ სლოვენიაშია. საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის, იგორ კოკოშკოვის ასისტენტი იქ მწვრთნელების სემინარებზეა. კოტესთან ერთად სემინარებზე ჩავიდნენ ზვიად ბაბიაშვილი და ბუბა ბერიშვილი. ახალგაზრდა მწვრთნელებს ესაუბრებიან ჟან ტაბაკი, პაბლო ლასო და მწვრთნელების ვიტო კორლეონე, მისტერ ჟეიკო ობრადოვიჩი. მაგარი ბიძაა და კოტეს და მის კოლეგებს გაუმართლა, რომ ამ სემინარებზე ობრადოვიჩის ლექციებს დაესწრებიან. კოტე ძალიან კარგი, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო და ხშირი რესპონდენტია. ამომწურავი პასუხები და იღებ იმას, რაც გინდა, რომ მიიღო. ამჯერად ვისაუბრეთ საქართველოს ნაკრების მოწინააღმდეგეებზე და არა მხოლოდ იმ ხუთ ნაკრებზე.

კოტე ტულუში: ევრობასკეტზე იყო დადებითი და არა უარყოფითი, უბრალოდ, არადადებითი მომენტები. პოზიტივია ის, რომ ვუგებთ პოლონეთს და იმ თამაშის დაწყებამდე ფავორიტი პოლონეთი იყო. ბოლო გათამაშებამდე, ბოლო წამებამდე გვქონდა ხორვატიასთან მოგების შანსი და ეს შანსი ვერ გამოვიყენეთ. სლოვენიასთან ნაკრებმა ფრაგმენტულად ძალიან კარგი კალათბურთი ითამაშა და სლოვენია ტურნირის ერთ-ერთი სოლიდური გუნდია. შანსი რეალურად იყო და საწყენია, რომ ეს შანსი ვერ გამოვიყენეთ. ბოლო ორი თამაში ცუდად წავიდა. ნაკრები დაღლილი იყო. ძნელია ორი ლიდერის გარეშე ბოლომდე გაძლო და ეს პროცესი იმდენად სწრაფად მიდის, რომ ენერგიის აღდგენას ვერ ასწრებ. ჩვენი ნაკრების ყველა მოთამაშემ ბოლომდე იომა, ღირსეულად გააკეთა საქმე, მაგრამ ენერგია არ გვეყო. საქართველოს ნაკრებმა ლოკალური გულშემატკივრების მოწონება დაიმსახურა. ნაკრები გავარდა, მაგრამ მაინც მაქსიმუმი გააკეთა. ქუჩაში დავდივარ და მეამაყება, რომ სლოვენიელები ჩვენი ნაკრების თამაშების ეპიზოდებს იხსენებენ. საუკეთესო შემადგენლობით მეტს მოვიგებდით.

- ჩვენი ჯგუფი გავიაროთ. პოლონეთი.

- კ.ტ.: პოლონეთისგან ყველა მეტს ელოდა. ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე საუკეთესო შემადგენლობით ჩავიდა. არ ვიცი და, სიმართლე გითხრათ, არც მიფიქრია პოლონეთის პრობლემებზე, მაგრამ გუნდს, ალბათ, მაინც მეტი უნდა გაეკეთებინა. პოლონეთმა საუკეთესო კალათბურთი სლოვენიასთან ითამაშა. უბრალოდ, ცოტა დააგვიანდა... არ ვიცი, შეიძლება ჩვენთან წაგებამ პოლონეთზე ცუდად იმოქმედა და შემდეგ თამაშებში ამის გამო პრობლემები გაჩნდა. ეს არ ვიცი და არც მაინტერესებს.

- ჩეხეთი.

- კ.ტ.: ძალიან კარგი, საინტერესო ნაკრებია. სპეციფიკური კალათბურთით, სადაც დიდი დოზით არის მონდომება და უმნიშვნელოდ იგრძნობა კლასის დეფიციტი. ჩეხეთს ჰყავს საინტერესო მოთამაშეები. იგივე სატორანსკი (11.2 ქულა, ავტ.), რომელიც უმატებდა და გამორჩეული იყო. ვეტერანია ირჟი ველში (2.8). ჭკვიანი, გამოცდილი კალათბურთელი, ნაკრების ლიდერი და ავტორიტეტი. საუკეთესო იყო ვესელი (17.+11.2 მოხსნა). ელეგანტური, აგრესიული ფორვარდი, რომელიც მომენტებში კირილენკოს კალათბურთს თამაშობს. რუსამდე ჯერ ძალიან შორია, მაგრამ ვესელი მოუმატებს. უკვე სახიფათო მოთამაშეა და, ალბათ, თავის პოზიციაზე ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო იქნება.

- ხორვატია მოგეწონა?

- კ.ტ.: ხორვატია ტურნირის პროცესში უმატებს. ესპანეთთან ცუდად დაიწყო და მოუმატა. ხორვატია ძალიან მაღალი კლასის გუნდია. ტომიჩი (8.2+8.0 მოხსნა), ბოგდანოვიჩი (17.0), უკიჩი (7.2) ლიდერები არიან. სხვებიც მაღალ დონეზე აკეთებენ ყველაფერს. ნაკრები უმატებს და მეორე ეტაპზე ყველას პრობლემებს შეუქმნის. პრინციპში, აკეთებს იმას, რაც უნდა გააკეთოს. მებრძოლი გუნდი, რომელმაც იდეალურად იცის საჭირო მომენტში საკუთარი შესაძლებლობების გამოყენება. ხორვატია კალათბურთის კლასიკაა, ძალიან საინტერესოდ თამაშობს.

- წავედით სლოვენიაზე.

- კ.ტ.: საინტერესო, ძლიერი ინდივიდუალისტების ნაკრები, რომელსაც აქვს უდიდესი უპირატესობა - თავის ტერიტორიაზე თამაშობს. ნაკრები, რომელსაც აქვს სხვა კოზირებიც. როგორც საქართველოსთან თამაშში, სლოვენია შეიძლება მსაჯებმაც გაქაჩონ. ეს მომენტები ჩვენთან იყო, მაგრამ ესპანეთთან სლოვენიამ მსაჯების გარეშე მოიგო. უბრალოდ, ესპანეთის დაგდების შემდეგ შეიქმნა ილუზია, რომ ეს წაუგებელი ნაკრებია და ყველაფერი იდეალურად მიდის. სლოვენიამ ძლივს მოგვიგო და შემდეგ წააგო ხორვატიასთან. ძალიან კარგი შემადგენლობა, რომელშიც არიან ლიდერები. გორან დრაგიჩი (13.8+5.0 პასი) გამოირჩევა და კარგ ტურნირს ატარებს ზორანიც (8.6). ყოველთვის სახიფათოა ნახბარი (8.2) და მოულოდნელად სტაბილურია დომენ ლორბეკი (11.2). სლოვენია მოუმატებს. უბრალოდ, არ ვიცი, რამდენად საკმარისი იქნება ეს ჩემპიონობისთვის. პოტენციალი არის. დრაგიჩები თითქმის ყველა გადამწყვეტ სროლას საკუთარ თავზე იღებენ და ჯერ საქმეს აკეთებენ. სლოვენია ძალიან ძნელი გასაგდები იქნება.

- გვრჩება ესპანეთი.

- კ.ტ.: რა უნდა ვთქვა ესპანეთზე... ტურნირის მთავარი ფავორიტი. არ თამაშობენ პო გასოლი, ნავარო, იბაკა, მაგრამ ეს ესპანეთია და ნებისმიერ მომენტში მოუმატებს. ვარსკვლავების ცვენა... უბრალოდ, თუ თავიდან ესპანეთი უკონკურენტოდ ითვლებოდა, ჯგუფური ეტაპის დროს გამოჩნდა, რომ ნაკრებს აქვს უმნიშვნელო პრობლემები. ზოგმა შეიძლება გაიხსენოს, რომ ესპანეთი წინა, მოგებულ ტურნირებზეც ყოველთვის იდეალურად არ იწყებდა, მაგრამ ნაკრებში არის მარკ გასოლი, ფერნანდესი, სხვებიც... პრობლემების და ახალი მთავარი მწვრთნელის მიუხედავად, ესპანეთი მაინც მთავარი ფავორიტია. გასოლი კლასიკაა. ცენტრი-ფლეიმეიქერი, ნაკრების ლიდერი, არაჩვეულებრივი დამცველი. კიდევ ერთხელ ვიტყვი - ახალი მწვრთნელისა და სხვა უმნიშვნელო პრობლემების მიუხედავად, ესპანეთი ტურნირის მთავარი ფავორიტია. ესპანეთი საკალათბურთო ლექციაა.

- საფრანგეთი?

- კ.ტ.: რა თქმა უნდა, საფრანგეთიც. მგონია, რომ სერბეთი მოუმატებს. ყოველთვის მომწონდა ამ ნაკრების თამაში და გამონაკლისი არც ეს ტურნირია.

...საინტერესოა კოტეს კოლეგების, ბუბა ბერიშვილის და ზვიად ბაბიაშვილის აზრიც.

ბუბა ბერიშვილი: საფრანგეთი.

ზვიად ბაბიაშვილი: საბერძნეთი და საფრანგეთი.

სასკოლო სახელმძღვანელოები საგამოცემლო ფასში

აბიტურიები, ტესტები, საატესტაციო წიგნები
და სხვა დამხმარე ლიტერატურა.

სასკოლო საკანცელარიო ნივთები

ვაჟა-ფშაველას 43,
„დელისის მეტროსთან"
პროფკავშირების კულტურის ცენტრში

595 11 32 33
571 11 32 33